პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 217 (9685) | კვირა, 13 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს ყველა კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ყოველი ღონე იხმარონ და გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანის შესასრულებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი ინტელიგენცია, ყველა საბჭოთა ადამიანი უმოკლეს ვადაში გადაწყვეტენ ამ ამოცანას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამ დღეებში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

1. პლენუმმა მოისმინა და განიხილა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება.

2. პლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1953 წლის 7 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

I.

სსრ კავშირის სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელიც შეიქმნა და განმტკიცდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ემყარება მძლავრ ინდუსტრიულ-ტექნიკურ ბაზას და წარმოადგენს ყველაზე მსხვილ და მექანიზებულ სოფლის მეურნეობას მსოფლიოში. მან უდავოდ დაამტკიცა თავისი გადამწყვეტი უპირატესობა წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის წინაშე, აგრეთვე მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინაშე.

განუხრელად ვითარდება კოლმეურნეობათა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საზოგადოებრივი მეურნეობა და მტკიცდება საკოლმეურნეო წყობილება. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა და მისი დიდი საქონლიანობა. ომისშემდგომ წლებში აღდგენილი და მნიშვნელოვნად გაფართოებულია მარცვლეულის წარმოება. ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილია პურით. გადიდდა ბამბის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების სახელმწიფო დამზადება. გარდა სახელმწიფო დამზადებისა, ჩვენი სოფლის მეურნეობა ახლენს კვების ფიდანალი პროდუქტების რეალიზაციას კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის მეშვეობით. საკოლმეურნეო ეკონომიკის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად იზრდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრე, დიდდება კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი.

როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის მძიმე განსაცდელის წლებში სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ დაამტკიცა თავისი დიდი სასიცოცხლო ძალა, თავისი უნარი სულ უფრო მზარდი ოდენობით უზრუნველყოს მოსახლეობა სურსათით, ხოლო მსუბუქი და კვების მრეწველობა — ნედლეულით.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას კვების პროდუქტების მხრივ, ხოლო მსუბუქ და კვების მრეწველობას — ნედლეულის მხრივ და არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობას და იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც საკოლმეურნეო წყობილება შეიცავს.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მძლავრი, ტექნიკურად სრულყოფილი მძიმე ინდუსტრია და მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ კოლმეურნეობანი, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ამ ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა და ორ-სამ წელიწადში მკვეთრად გადიდდეს ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო საქონლით და ამასთან ერთად კოლმეურნე გლეხობის მთელი მასისათვის უზრუნველყოფილი იქნას მატერიალური კეთილდღეობის უფრო მაღალი დონე.

ამასთან ერთად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდესი შესაძლებლობანი ჯერ კიდევ ცუდად არის გამოყენებული. ბევრ კოლმეურნეობასა და რაიონში მარცვლეული და ბურღულეული კულტურების, სელის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი და სხვა კულტურების მოსავალი კვლავ დაბალია. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა, მეცხოველეობის განვითარება, კარტოფილის, ბოსტნეულის, საბოჭკოე სელის, მარცვალსაფურაჟე და სხვა საკვები კულტურების წარმოება არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს. სოფლის მეურნეობის ამ და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენის გამო ფერხდება შემდგომი განვითარება მსუბუქი და კვების მრეწველობისა, რომლის დანიშნულებაა მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ეს ჩამორჩენა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობის ზრდისათვის.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მეცხოველეობის განვითარების მხრივ. ბევრ კოლმეურნეობაში მეურნეობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი ჯერ კიდევ არ გამხდარა მაღალსაქონლიანი და დიდშემოსავლიანი, პირუტყვის მოვლა ცუდად არის დაყენებული. უკანასკნელ წლებში პირუტყვის სულადობა მეტად ნელა იზრდება, ხოლო ძროხის სულადობამ ჩვენს ქვეყანაში დღემდე ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, დიდია პირუტყვის დანაკლისი სიკვდილიანობისაგან; დიდია დედაპირუტყვის სულადობის ბერწიანობა. მეცხოველეობის საკვები ბაზა კოლმეურნეობებში სუსტად არის განვითარებული, ნაკლებად მზადდება ალარგი თივა, სილოსი, ძირხვენები და კარტოფილი. პირუტყვის სულადობა დამაკმაყოფილებლად არ არის უზრუნველყოფილი მეცხოველეობის შენობებით, სუსტად არის მექანიზებული შრომატევადი პროცესები ფერმებში.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდ ნაკლს წარმოადგენს სერიოზული ჩამორჩენა კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, რაც ხელს უშლის ამ პროდუქტებით ქალაქებისა და აამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების საქმეს. ჩამორჩენა კარტოფილის წარმოებაში აფერხებს აგრეთვე მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეს.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამხდარან სანიმუშო და მაღალრენტაბელურ სოციალისტურ მეურნეობებად. ბევრ საბჭოთა მეურნეობაში დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ადგილი აქვს უყაირათობას, დიდ უნაყოფო ხარჯებსა და ფულადი სახსრებისა და მასალების გადახარჯვას, დიდია პროდუქციის ფაქტიური თვითღირებულება. ბევრი საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფილი არ არის კარგი საწარმოო ნაგებობებით, ხშირად პირუტყვი მოთავსებულია პრიმიტიულ, კეთილმოუწყობელ სადგომებში. სერიოზულად ჩამორჩება მეცხოველეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმოების მთელი რიგი სხვა დარგების მექანიზაცია, ცუდად და არასაკმაო ოდენობით წარმოებს საბინაო მშენებლობა.

რა არის საერთოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების არასაკმაო დონისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების გამორკვეული ჩამორჩენის მიზეზები?

კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებდა მძიმე ინდუსტრიის, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით განვითარების აუცილებელი პირობის, ყოველი ღონისძიებით გამლის კურსს და ამ გზაზე უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ამ პირველი რიგის სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადაჭრას ექცეოდა მთავარი ყურადღება, აქეთკენ იყო მიმართული ძირითადი ძალები და სახსრები. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეზე მუშაობდნენ ჩვენი საუკეთესო კადრები. ჩვენ არა გვქონდა შესაძლებლობა ერთდროულად უზრუნველგვეყო მაღალი ტემპით განვითარება მძიმე ინდუსტრიისაც, სოფლის მეურნეობისაც და მსუბუქი მრეწველობისაც. ამისათვის საჭირო იყო შეგვექმნა აუცილებელი წინაპირობები. ახლა ეს წინაპირობები შექმნილია. ჩვენ გვაქვს მძლავრი ინდუსტრიული ბაზა, განმტკიცებული კოლმეურნეობანი და მომზადებული კადრები სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგში.

მაგრამ არის სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენის სხვა მიზეზებიც, მიზეზები, რომლებსაც ფესვი გადგმული აქვს ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებში, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებში, ესე იგი მიზეზები, რომლებიც დამოკიდებულია თვით ჩვენზე.

ასეთ მიზეზებს ეკუთვნის უწინარეს ყოვლისა ის, რომ სოფლის მეურნეობაში დარღვეული იყო პრინციპი მუშაკთა მატერიალური დაინტერესებისა წარმოების განვითარებით, მისი შემოსავლიანობის გადიდებით — სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მატერიალური დაინტერესების ეს პრინციპი, რომელიც წარმატებით გამოყენებულია ბამბის, შაქრის ჭარხლის, ჩაის, ციტრუსოვანთა წარმოებაში, არ ხორციელდება სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი დარგების მიმართ.

კოლმეურნეობათა მიერ თვითეულ ჰექტარ სახნავზე ანდა კოლმეურნეობებისათვის მიმაგრებულ მიწის ფართობზე მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშების პრინციპმა, რაც პარტიამ და მთავრობამ დაწესეს, შექმნა კოლმეურნეობათა დაინტერესება საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის განვითარებით და სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. მაგრამ დამზადების პრაქტიკაში უშვებენ ამ პრინციპის დამახინჯებას, როცა მოწინავე, კარგად მომუშავე კოლმეურნეობებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს იღებენ და აღწევენ მეცხოველეობის მაღალ პროდუქტიულობას, როგორც წესი, სახელმწიფოსათვის პროდუქციის სავალდებულო ჩაბარების დავალებას აძლევენ მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობით, ვიდრე ჩამორჩენილ, ცუდად მომუშავე კოლმეურნეობებს.

ასეთი არასწორი პრაქტიკა სტიმულს არ აძლევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლას და არ ახალისებს მოწინავე კოლმეურნეობებს.

ამ სისტემით მოწინავე კოლმეურნეობებსა და კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეებს, რომლებიც ზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, არ ახალისებენ და ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში აყენებენ იმ კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან შედარებით, რომლებიც ცუდად ზრუნავენ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

მეცხოველეობის განვითარების, აგრეთვე ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების ჩამორჩენას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგების განვითარების არასაკმაო წახალისება სახელმწიფოს მხრივ. მეცხოველეობის პროდუქტების, კარტოფილისა და ბოსტნეულის დასამზადებელი და შესასყიდი ფასები, რომლებიც დღემდე მოქმედებდა, სუსტ სტიმულს აძლევდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას სოფლის მეურნეობის ამ დარგების განვითარებით.

ბევრ კოლმეურნეობაში დარღვეული აღმოჩნდა კოლექტიური მეურნეობის საარტელო ფორმის უმნიშვნელოვანესი პრინციპი — არტელში საზოგადოებრივისა და პირადის სწორი შეხამება, როცა პირადი ინტერესები ექვემდებარება საზოგადოებრივს. წესდების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო არტელში მთავარი და გადამწყვეტია საზოგადოებრივი მეურნეობა. ამასთან ერთად, თვითეულ საკოლმეურნეო კომლს უფლება ენიჭება ჰქონდეს მცირე დამხმარე პირადი მეურნეობა სამომხმარებლო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, სანამ ეს მოთხოვნილებანი ჯერ კიდევ არ შეიძლება მთლიანად დაკმაყოფილებულ იქნას საზოგადოებრივი მეურნეობის ხარჯზე. ამ პრინციპის დარღვევამ, საკარმიდამო მეურნეობიდან პროდუქტების ჩაბარების გადიდებულმა ნორმებმა, კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის მიმართ საგადასახადო პოლიტიკაში არსებულმა ნაკლოვანებებმა გამოიწვია კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი ძროხის, ღორისა და ცხვრის სულადობის შემცირება. ასეთი მდგომარეობა არამარტო ბღალავს კოლმეურნეთა ინტერესებს, არამედ იწვევს კოლმეურნეობათა საარტელო ფორმის ბუნების დამახინჯებასაც, საარტელო ფორმისა, რომელიც კოლექტიური მეურნეობის ერთადერთი სწორი ფორმაა სოციალიზმის მთელ პერიოდში.

სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების სერიოზული ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმ მძლავრი ტექნიკის სრულიად არადამაკმაყოფილებელი გამოყენება, რომლითაც სოციალისტურმა სახელმწიფომ აღჭურვა სოფლის მეურნეობა. მტს-ების მნიშვნელოვან ნაწილში ჯერ კიდევ დაბალია ტრაქტორებისა და კომბაინების გამომუშავება ცვლაში, დიდია მანქანების მოცდენა, ჭიანურდება უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ვადები, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევს მოსავლის დანაკარგებსა და დანაკლისს. მარცვლეული კულტურების, შაქრის ჭარხლისა და ბამბის დამუშავების მექანიზაციის მაღალი დონისას დაშვებულია სახალხო მეურნეობისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების მექანიზაციის ჩამორჩენა, როგორიც არის მეცხოველეობა, კარტოფილის, ბოსტნეულის, სელისა და სხვა კულტურების წარმოება.

დღემდე შექმნილი არ არის მანქანების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების კომპლექსურ მექანიზაციას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის სხვადასხვაგვარი ბუნებრივი და სამეურნეო პირობების გათვალისწინებით. მარცვლეულის მეურნეობაშიც კი, სადაც მიღწეულია ხვნის, თესვის, მოსავლის აღების მექანიზაციის ყველაზე მაღალი დონე, არადამაკმაყოფილებლად მექანიზებული რჩება მოსავლის აღების შემდეგ კალოებზე მარცვლის დამუშავების, ნახორისა და ჩალის შეგროვების და დაბულულების, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანის შრომატევადი სამუშაოები. საკვების წარმოების დარგში თიბვის მექანიზაციის მნიშვნელოვანი ზრდისას თითქმის არ არის მექანიზებული თივის დაზვინვის შემდგომი მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები. სერიოზულად ჩამორჩება ახალი ტიპების სასოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუირებისა და წარმოების ათვისების, მასობრივი წარმოების მანქანების კონსტრუქციების გაუმჯობესებისა და დამზადების ხარისხის გაუმჯობესების სამუშაოები.

მტს-ებში არსებული რთული ტექნიკა, რომელიც ტექნიკურად მომზადებულ კადრებს მოითხოვს, მინდობილი აქვთ სეზონურ მუშაკებს, რომლებსაც კოლმეურნეობები გამოჰყოფენ მხოლოდ მინდვრის სამუშაოთა დროისათვის. მტს-ების ხელმძღვანელი კადრების უმეტესობას არა აქვს საკმაო საინჟინრო-ტექნიკური და აგრონომიული მომზადება და ვერ უზრუნველყოფს კვალიფიციურ ხელმძღვანელობას მსხვილი მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი.

სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების სერიოზული ჩამორჩენის უმნიშვნელოვანესი მიზეზია პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი და, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობაში კადრების შერჩევისა და განაწილების და სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმოების საქმეში.

თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ მსხვილ სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას შეუძლია წარმატებით განვითარდეს მხოლოდ ყოველდღიური კვალიფიციური ხელმძღვანელობის პირობით. კოლმეურნეობანი გამსხვილების შემდეგ მრავალდარგიანი, რთული მეურნეობანი გახდნენ. ახლა შექმნილია ყველა საჭირო პირობა თანამედროვე ტექნიკის, საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევების და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ნოვატორთა უმდიდრესი გამოცდილების ფართოდ გამოყენებისათვის.

ყოველივე ეს მოითხოვს უნარიან ხელმძღვანელობას თვითეული კოლმეურნეობისადმი, საბჭოთა მეურნეობისადმი, მტს-ისადმი, რაიონისადმი, სოფლის მეურნეობის თვითეული დარგისა და მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი. აქედან გამომდინარეობს საარსებო მოთხოვნილება, რომ კოლმეურნეობებს, მტს-ებს, საბჭოთა მეურნეობებს, რაიონებს სათავეში ჰყავდეთ ხელმძღვანელ მუშაკთა, აგრონომთა, ინჟინერ-მექანიზატორთა, ზოოტექნიკოსთა, ეკონომისტთა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტთა კვალიფიციური კადრები. ამ უმნიშვნელოვანესი პირობის გარეშე მსხვილ სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას შემდგომი წინსვლა არ ძალუძს.

უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე 350 ათასი სპეციალისტიდან კი, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სისტემაში მუშაობენ, კოლმეურნეობებში მუშაობს 18,5 ათასი და მტს-ებში — 50 ათასი სპეციალისტი. კოლმეურნეობათა 94 ათასი თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლება აქვს მხოლოდ 2,4 ათასს და საშუალო სპეციალური განათლება — 14,2 ათასს. მტს-ების დირექტორების, მთავარი ინჟინრებისა და მთავარი აგრონომების ფიდ უმრავლესობას უმაღლესი განათლება არა აქვს. აგრონომების, ინჟინრების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების ძირითადი მასა რჩება სხვადასხვა დაწესებულებებში, ხოლო მტს-ები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს აგრეთვე მიაჩნია, რომ მთელი რიგი სამინისტროები, განსაკუთრებით სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, ცენტროსოიუზი, ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობა სრულიად არასაკმაო დახმარებას უწევენ სოფლის მეურნეობას ხე-ტყის მასალით, აგურით, კირითა და სახურავი მასალით კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგებაში, რაც აფერხებს მეცხოველეობისა და სხვა საწარმოო შენობათა მშენებლობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მშენებლობას მტს-ებში.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს ის მიზეზები, რომლებიც დამოკიდებულია თვით კოლმეურნეობებზე, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და გამგეობებზე, კოლმეურნეებზე. ბევრ არტელში ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა, ყველა კოლმეურნე მთელი შესაძლებლობით როდი იღებს მონაწილეობას საკოლმეურნეო წარმოებაში. ყველგან კარგად როდია ორგანიზებული კოლმეურნეთა შრომა. ცოტა როდია საზოგადოებრივი ქონებისადმი შეუგნებელი, უყაირათო დამოკიდებულების ფაქტები.

ცნობს რა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დარგებში მდგომარეობას არადამაკმაყოფილებლად, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ და გადაუდებლად მიაჩნია მთელ რიგ დიდ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების ამაღლება მოწინავეთა დონემდე, რათა უზრუნველყოფილ იქნას მთელი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა. ამოცანა ის არის, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში სავსებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე და ნედლეულით უზრუნველვყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობა.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1953 წლის 7 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

II.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ. კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებისათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების შესახებ

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკლე ვადაში აანაზღაურეს მძიმე ზარალი, რაც მეცხოველეობამ ომის წლებში განიცადა, და მიაღწიეს პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვან მატებას. 1945 წლის ივლისიდან 1953 წლის ივლისამდე სსრ კავშირში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 11,3 მილიონი სულით, ცხვრისა და თხისა — 53,9 მილიონი სულით, ღორისა — 25,1 მილიონი სულით და ცხენისა — 6,2 მილიონი სულით.

მეცხოველეობის განვითარებაში მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა გადიდებულიყო მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებათა ოცულობა: ხორცის დამზადებამ 1952 წელს შეადგინა 3 მილიონი ტონა, რაც ერთნახევარჯერ აღემატება 1940 წლის დამზადებას, რძის დამზადებამ — 10 მილიონი ტონა, ანუ თითქმის 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს, მატყლის დამზადებამ — 182 ათასი ტონა, ანუ 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ბევრმა საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ პირუტყვის დიდ პროდუქტიულობას მიაღწია. კოსტრომის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კარავაევოში“, ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ომსკში“, მოსკოვის ოლქის „გორკი-II“, „ლენინე პოლიანი“ და „ხოლმოგორკაში“, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საბჭოთა მეურნეობებში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე თვითეულ ძროხაზე წელიწადში საშუალოდ იღებენ 5.500 კილოგრამ რძეს. 200-ზე მეტმა საბჭოთა მეურნეობამ 1952 წელს თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღო 4.000 კილოგრამზე მეტი რძე. კოსტრომის ოლქის კოსტრომის რაიონის კოლმეურნეობა „12 ოქტომბერმა“, მოსკოვის ოლქის ლუხოვიცის რაიონის სტალინის სახელობის და რამენსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებმა, არხანგელსკის ოლქის ხოლმოგორის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნმა“ და ბევრმა სხვა კოლმეურნეობამ 1951-1952 წლებში საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღეს 4.000-დან 5.000 კილოგრამამდე რძე.

ნაზი მატყლის დიდ ნაპარსს — ცხვარზე 6,5-7 კილოგრამს — იღებენ სტავროპოლის მხარის მოწინავე საბჭოთა მეურნეობები „სოვეტსკოე რუნო“ და „ბოლშევიკი“, ალტაის მხარის „რუბცოვსკი“, გროზნოს ოლქის „ჩერვლენიე ბურუნი“, აგრეთვე სტავროპოლის მხარის სტეპნოის რაიონის კოლმეურნეობა „სტრანა სოვეტოვ“ და იპატოვის რაიონის კოლმეურნეობა „მე-2 ხუთწლედი“, როსტოვისა და გროზნოს ოლქებისა და ალტაის მხარის მთელი რიგი კოლმეურნეობანი.

ჩერნიგოვის ოლქის ჩერნიგოვის რაიონის კოლმეურნეობებში „ვსესვეტნი ქოვტენში“, „ნოვი შლიახში“, პოლტავისა და მოსკოვის ოლქების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე იღებენ 2-4 ტონა ღორის ხორცს ცოცხალი წონით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამასთან აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის მიღწეული ზრდა და მისი პროდუქტიულობის დონე სრულიად არაკმაოა. ჩვენს ქვეყანაში ძროხის სულადობას ომამდელი დონისათვის არ მიუღწევია 3,5 მილიონი სულით, ხოლო 1928 წელთან შედარებით შემცირდა 8,9 მილიონი სულით. მარტო 1952 წელს მთლიანად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში 2,2 მილიონი სულით შემცირდა, ხოლო ძროხის სულადობა — 550 ათასით. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოხდა ცხენის სულადობის შემცირება — რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით 60 პროცენტით და ომამდელ 1940 წელთან შედარებით 30 პროცენტით. მეურნეობის სწორი წარმოებისას ცხენის სულადობის შემცირება შესაძლებელს ხდიდა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო პროდუქტიული პირუტყვის სულადობა. მაგრამ ეს არ მოხდა. პირუტყვის სულადობის გადიდების სახელმწიფო გეგმები წლითიწლობით არ სრულდება. პირუტყვის ცუდი მოვლის შედეგად კვლავ დაბალ დონეზე რჩება მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამასთან ამ ბოლო დროს კოლმეურნეობებში მცირდება რძის წველა, მატყლის ნაპარსი და მეცხოველეობის მთელი რიგი სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლები. კოლმეურნეობები პირუტყვის დიდ დანაკარგს განიცდიან ყოველწლიურად პირუტყვის სიკვდილიანობით და მათ მნიშვნელოვანი რაოდენობით აკლდებათ მოზარდეული დედაპირუტყვის სულადობის ბერწიანობის გამო. კოლმეურნეობების, ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ბევრი ხელმძღვანელი, იმის ნაცვლად, რომ ფერმებში მოაწყოს მუშაობა საზოგადოებრივი პირუტყვის მომრავლებისათვის, კვლავ მასობრივად ყიდულობს პირუტყვს კოლმეურნეებისაგან.

უკანასკნელ წლებში მეცხოველეობის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებებია დაშვებული ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, კალინინის, კალუგის, კოსტრომის, ნოვგოროდის, ვოლოგდის, სმოლენსკის, კიროვის, ნოვოსიბირსკისა და ვორონეჟის ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მეცხოველეობა ომის წინა წლებშიც არ იყო საკმაოდ განვითარებული და მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას ხორცისა და რძის პროდუქტებზე, ხოლო მსუბუქი მრეწველობის მოთხოვნილებას — ტუმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულზე. ამჟამად, როცა სახალხო მეურნეობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, ხოლო მოსახლეობის მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებზე განუზომლად გაიზარდა, მეცხოველეობის გაჭიანურებული ჩამორჩენა სერიოზული დაბრკოლება გახდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისა და მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების გზაზე.

მეცხოველეობის განვითარების არახელსაყრელი მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა აიხსნება საკვების წარმოებისა და დამზადების ჩამორჩენით. ბევრ კოლმეურნეობაში სუსტად არის განვითარებული ბალახის თესვა, მეტად მცირეა ბუნებრივი საკვების სავარგულებისა და ნათესი ბალახების მოსავლიანობა, უყურადღებოდ არის მიტოვებული საკვები ძირხვენების, საკვები ბაღჩეული კულტურების, აგრეთვე სასილოსედ თესილი სიმინდისა და მზესუმზირას წარმოება. მეტმცირე რაოდენობით მოგვყავს კარტოფილი პიქის საკვებად. საკვები კულტურების მცირე მოსავლიანობის, აგრეთვე თივის აღების და განსაკუთრებით თივის დაზვინვის, ნამჯის აღებისა და დადგმის სუსტი მექანიზაციის შედეგად, წლითიწლობით არ სრულდება უხეში საკვების დამზადების გეგმები. ფერმებში შრომის ნაყოფიერების ზრდას სერიოზულად აფერხებს ის, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ მექანიზებული არ არის მეცხოველეობის შრომატევადი სამუშაოები და პირველ რიგში წყალმომარაგება და საკვების მომზადება. მეცხოველეობის ფერმებში კვლავ სჭარბობს ნაკლებნაყოფიერი ხელის შრომა.

ველის გვალვიან რაიონებში არახელსაყრელ მდგომარეობაშია პირუტყვის წყალმომარაგება, რაც აფერხებს პირუტყვის სულადობის ზრდას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას.

ბევრ კოლმეურნეობაში არ სრულდება პირუტყვის სადგომების მშენებლობის გეგმები, რის გამო პირუტყვი ზამთრის პერიოდში მოთავსებულია ვიწროდ, ცუდად მოწყობილ სადგომებში.

მეცხოველეობის ჩამორჩენის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა არასაკმაო მატერიალური დაინტერესება სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებით. ბევრი კოლმეურნეობა მეცხოველეობის პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე სახელმწიფოს აბარებდა სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში, ხოლო ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხის დამზადების მოქმედი ფასები არ ქმნიდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა საჭირო დაინტერესებას საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, ბევრი ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო მთელი რიგი წლების მანძილზე ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს მეცხოველეობის განვითარებაში, არ იღებდნენ სათანადო ღონისძიებებს იმისათვის, რომ საქმით გაედიდებინათ საკვების წარმოება, მთელი პირუტყვი უზრუნველეყოთ სადგომებით, გაეჩაღებინათ საკვების მოპოვებისა და ფერმებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, გაეუმჯობესებინათ ჯოგის მომრავლება და უზრუნველეყოთ მოზარდეულის შენარჩუნება. მეცნიერების მიღწევანი და მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება ნაკლებად ინერგება წარმოებაში და კვლავ რჩება, როგორც წესი, მარტო საუკეთესო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილებად.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში არსებული მეცხოველეობის საქმე. ბევრმა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანომ მნიშვნელოვნად შეასუსტა ყურადღება ამ საქმისადმი, ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ თვითეულმა საკოლმეურნეო კომლმა შეიძინოს პირუტყვი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში, არ უწევს კოლმეურნეებს დახმარებას საკვებითა და საძოვრებით პირუტყვის უზრუნველყოფაში.

პლენუმს მიაჩნია, რომ მეცხოველეობის, და პირველ რიგში საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის და ახლა პარტიისა და სახელმწიფოს ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. მიჩნეულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად აღმოფხვრან შეუწყნარებელი ჩამორჩენა მეცხოველეობის განვითარებაში, შექმნან მტკიცე საკვები ბაზა, უზრუნველყონ პირუტყვისა და ფრინველის სულადობა შენობებით, მიაღწიონ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადაჭრით გადიდებას, პირუტყვის სულადობის ზრდის უფრო სწრაფ ტემპს, მისი ჯიშიანობის გაუმჯობესებას და უახლოეს 2-3 წელიწადში მიაღწიონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას.

2. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ 1954 წელს პირუტყვის სულადობა მთელ სოფლის მეურნეობაში აყვანილ იქნას შემდეგ ოდენობამდე: ძროხისა — 29,2 მილიონ სულამდე, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა — 65,9 მილიონ სულამდე, ცხვრისა და თხისა — 144,4 მილიონ სულამდე, ღორისა — 34,5 მილიონ სულამდე.

რძის საერთო პროდუქციის გადიდების და საკუთარი მომრავლების გზით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით მიჩნეულ იქნას გადაუდებელ ამოცანად კოლმეურნეობებში ძროხის სულადობის რაც შეიძლება მალე გადიდება, რათა უახლოეს წლებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში ძროხის სულადობის ხვედრითი წონა საგარეუბნო კოლმეურნეობებში გადიდდეს სულ ცოტა 60 პროცენტით, დანარჩენი რაიონების კოლმეურნეობებში სულ ცოტა 50 პროცენტით, და ყაზახეთის, შუა აზიის, ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის, ასტრახანის, ჩკალოვის, ჩიტის ოლქების, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ და ტუვის ავტონომიური ოლქის ველიანი, ნახევრადუდაბნო და მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში სულ ცოტა 40 პროცენტით. დაწესდეს, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მატების გეგმა შესრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია ძროხის სულადობის მატების გეგმა.

მეფრინველეობის შემდგომი განვითარების მიზნით საჭიროა კოლმეურნეობებში ჰქონდეთ მეფრინველეობის ფერმები 1954-1955 წლებში სულ ცოტა 100-200 ფრთა კვერცხმდები ქათმის რაოდენობით მარცვლეული კულტურების ნათესების ყოველ 100 ჰექტარზე ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით. ველიანი რაიონების კოლმეურნეობებში ყოველი ღონისძიებით გადიდებულ იქნას ინდაურის სულადობა, ხოლო იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც აქვთ მდელო-საძოვარი სავარგულები და წყალსატევები, ქათმების გარდა მოშენებულ იქნას აგრეთვე ბატები და იხვები. ყოველი ღონისძიებით განვითარდეს კოლმეურნეობებში გუბურის მეთევზეობა.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს თავიანთ გეგმებში უზრუნველყონ დავალებათა დაწესება პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების დარგში ოლქებისათვის, მხარეებისა და რესპუბლიკებისათვის, ხოლო რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებს, საოლქო აღმასკომებსა და რაიაღმასკომებს — რაიონებისა და კოლმეურნეობებისათვის. დავალებათა დაწესებისას ყოველმხრივ გაითვალისწინონ ცალკეული რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური და ბუნებრივი პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ პირუტყვის ზოგ სახეობათა განვითარებას და ხელს არ უწყობენ სხვა სახეობათა განვითარებას.

3. ზუსტად განხორციელდეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ჰექტარობრივი პრინციპი, რაც შემოღებულია პარტიისა და მთავრობის მიერ. არ იქნას დაშვებული მეცხოველეობის განვითარების მხრივ მოწინავე კოლმეურნეობებისათვის დავალებათა გადიდების მავნე პრაქტიკა. დაწესდეს, რომ ერთი რაიონის ფარგლებში უნდა მოქმედებდეს, როგორც წესი, ჩაბარების ერთი საჰექტარო ნორმა.

4. გაუქმდეს, როგორც არასწორი, ყოველი წლის 1 იანვრისათვის მეცხოველეობის განვითარების დაგეგმვისა და შესრულების აღრიცხვის წესი. ამ წესის დროს კოლმეურნეობები, რათა ანგარიში ჩაბარონ გეგმის შესრულების შესახებ, იძულებული არიან შეინახონ და კვებონ 1 იანვრამდე დიდძალი არაპროდუქტიული და დაწუნებული პირუტყვი, რომელიც უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს, გაიყიდოს და გამოყენებულ იქნას სახორცედ. დაწესდეს, რომ მეცხოველეობის დავალებათა დაგეგმვა და შესრულების აღრიცხვა მოხდეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისათვის, როცა მთავრდება საკვების დაგროვება, შენობების შეკეთება და ზამთრისათვის მომზადება, პირუტყვი კარგი სამსუქნისაა და არის იმის შესაძლებლობა, რომ ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულება უზრუნველყოფილ იქნას მსუქანი პირუტყვით.

5. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებანი მეცხოველეობის პროდუქტებზე დასამზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ, 1953 წლის მეორე ნახევარში ხორცის, რძისა და კვერცხის სახელმწიფო შესყიდვის გეგმისა და პირობების შესახებ, რომელთა მიზანია გადადდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით, აგრეთვე კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების შესახებ, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელეს.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ღონისძიებანი, რათა აუცილებლად შესრულდეს მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1953 წლისათვის დადგენილი გეგმები.

6. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეთა საერთო კრებების გადაწყვეტილებით, მისცენ კოლმეურნეებს ავანსად დაახლოებით 25 პროცენტი ფულადი სახსრები, რაც მიღებულია პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციით. კოლმეურნეებისათვის აღნიშნული ფულადი ავანსის მიცემა მოხდეს ყოველ კვარტალში — განვლილ კვარტალში საზოგადოებრივ მეურნეობაში გამომუშავებული ყველა შრომადღეზე 15 პროცენტის ოდენობით და, გარდა ამისა, მეცხოველეობასა და საკვების მოპოვებაში გამომუშავებული შრომადღეებზე 10-მდე პროცენტის ოდენობით, ამასთან დაწესდეს, რომ კოლმეურნეთა მიერ მეცხოველეობასა და საკვების მოპოვებაში გამომუშავებულ შრომადღეებზე მიღებული ფულადი ავანსი ფულადი შემოსავლის საბოლოო განაწილებისას არ მცირდება.

განუხრელად განხორციელდეს მოქმედი სისტემა დამატებითი ანაზღაურებისა მოზარდეულის გაზრდის, მოზრდილი პირუტყვის შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას დამატებითი ანაზღაურების დროზე გაცემა.

7. პლენუმს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყოველი ღონისძიებით განვითარებასთან ერთად ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სავსებით უნდა მოუღონ ბოლო კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის, საკითხში კოლმეურნეთა ინტერესების შეღალვის მავნე პრაქტიკას, იმის გათვალისწინებით, რომ საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრებაში გარკვეული რაოდენობით პროდუქტიული პირუტყვის არსებობა გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მოცულობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი პირობაა და, მაშასადამე, ხელსაყრელია როგორც კოლმეურნეებისათვის, ასე სახელმწიფოსათვის. კოლმეურნეებს რომ გაუადვილდეთ პირად სარგებლობაში პირუტყვის შეძენა, ამისათვის 1953 წლის მეორე ნახევარში განთავისუფლდნენ ხორცის ჩაბარებისაგან და არ დაეკისროთ ხორცის ჩაბარება 1954 წელს იმ კოლმეურნეთა მეურნეობებს, რომლებსაც აღრიცხვის მონაცემების მიხედვით 1953 წლის 15 ივნისისათვის არ ჰყოლიათ პირუტყვი პირად საკუთრებაში.

ჩამოეწეროთ კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების მთელი გასული წლების დავალიანება 1953 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით. განუმარტოთ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომ სახელმწიფო აზორციელებს ამ ღონისძიებას, რათა დაეხმაროს მათ შეინარჩუნონ მათს პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვი, აგრეთვე გაუადვილოს პირუტყვის შეძენა იმათ, ვისაც იგი არა ჰყავს.

8. მეცხოველეობის საქმეს წინ ვერ წავწევთ, თუ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი ჯეროვნად არ მოჰკიდებენ ხელს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. საკვები ბაზის უყურაღღებოდ მიტოვებამ ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში ყოვლად შეუწყნარებელი ხასიათი მიიღო.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებსა და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან საკვები ბაზის უყურადღებოდ მიტოვება და სავსებით უზრუნველყონ საზოგადოებრივი პირუტყვი კარგი თივითა და სხვა უხეშა საკვებით, ძირხვენა და ტუბერიანი მცენარეებით, სილოსით, მწვანე საკვებით, საფურაჟე მარცვლეულითა და სხვა კონცენტრატებით.

მიღწეულ იქნას მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, სასილოსე სიმინდისა და მზესუმზირას, საკვები ძირხვენების, საკვები ბაღჩეული კულტურების ნათესი ფართობების გადიდება და მათი მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლება. ამისათვის საჭიროა განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი საკვები კულტურების მოყვანის აგროტექნიკის გასაუმჯობესებლად. მიღებულ იქნას ღონისძიებანი სასილოსე სიმინდის ნათესების გავრცელებისათვის შავნიადაგიანი და არაშავნიადაგიანი ზოლის ცენტრალურ ოლქებში, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების რაიონებში, ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის სამხრეთ რაიონებში და ყაზახეთის ჩრდილოეთ რაიონებში. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ერთ ძროხაზე ჩაღის სულ ცოტა 5-6 ტონა სილოსი. თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აგებულ იქნას სასილოსე ნაგებობანი ისეთი მოცულობით, რაც მთლიანად უზრუნველყოფს საკვების დასილოსების დაწესებულ გეგმას. კარტოფილის დიდი კვებითი თვისებების გამო მნიშვნელოვნად გაფართოვდეს კარტოფილის მოყვანა საკვებად, პირველ რიგში ურალის არაშავნიადაგიანი ზოლის, ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქებისა და დასავლეთ ციმბირის რაიონებში.

ფართო მასშტაბით დაინერგოს პირუტყვის საზაფხულო ბაგურ-ბანაკური შენახვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საძოვრების ნაკვეთმორიგეობის სისტემის გამოყენებით.

მიღებულ იქნას ღონისძიებანი პირუტყვის ვეტერინარული მომსახურების გასაუმჯობესებლად. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს შეისწავლოს სამომთაბარო საძოვრების გამოყენება და 1954 წლის 1 იანვრისათვის წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მათი უფრო სწორი და რაციონალური გამოყენების შესახებ.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შეუქმნან მწყემსებს საჭირო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველყონ ისინი სათანადო საწარმოო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით.

9. თივის აღებისა და ნამჯის შეგროვების პერიოდში კოლმეურნეებსა და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს თივის აღებასა და ნამჯის დამზადებაზე გამომუშავებულ შრომადღეებზე მიეცეთ დამზადებული, შემოსავალში გატარებული და კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მიღებული თივისა და ნამჯის საერთო რაოდენობის 10 პროცენტამდე, ხოლო ბუნებრივი სათიბების მეორე თიბვისას — 20 პროცენტი; კოლმეურნეობებში, რომლებმაც შეასრულეს თივის დამზადების გეგმა, შრომადღეებზე გაიცეს გეგმის გადამეტებით დამზადებული თივის 30 პროცენტი. გარდა ამისა, საკვების დამზადების პერიოდში ყველა კოლმეურნეს წლის დამდეგიდან გამომუშავებულ შრომადღეებზე ავანსად მიეცეს დამზადებული თივის საერთო რაოდენობის 5 პროცენტამდე და დამზადებული და დაბულულებული ნამჯის 10 პროცენტამდე. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მისცენ კოლმეურნეებს საძოვრები პირუტყვის ძოვებისათვის და აღმოუჩინონ ტრანსპორტით დახმარება დამზადებული საკვების გადასაზიდავად.

10. ბოლო მოეღოს ბევრი მტს-ის გულგრილ დამოკიდებულებას საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების საქმისადმი. კოლმეურნეობებში თიბვის, შეგროვებისა და დაბულულების სამუშაოთა მექანიზაციის დონე 1954 წელს აყვანილ იქნას 65 პროცენტამდე და თივის დაზვინვისა 50 პროცენტამდე, ხოლო 1955 წელს — თიბვის, შეგროვებისა და დაბულულებისა — 80 პროცენტამდე და თივის დაზვინვისა — 65 პროცენტამდე, დასილოსებისა შესაბამისად — 65 პროცენტამდე და 75 პროცენტამდე, სასილოსე კულტურებისა და საკვები ძირხვენებისა — 75 პროცენტამდე და 95 პროცენტამდე, კომბაინებით აღებული ფართობიდან ნამჯის აღებისა და დაბულულებისა 1954 წელს 50 პროცენტამდე და 1955 წელს — 70 პროცენტამდე.

გაფართოვდეს სხვადასხვა სისტემის საცელავების, ფოცხების, სათრიელების, ზვინდასადგმელების, დასაბულულებლების, სილოსის ასაღები კომბაინების, სიმინდის ასაღები მანქანების, ექსკავატორების, თხრილგასაყვანებისა და სადრენაჟო მანქანების, ბულდოზერების, გრეიდერების, ბუჩქსაჭრელების, ჭაობის ფრეზების, სკრეპერების, წყლის აყვანის მექანიზაციისათვის სატუმბავების, ხისა და ლითონის წყალსაწნევი აუზების, თუჯის, ასბესცემენტის, რკინაბეტონისა და გაზის მილების, ავტოსარწყულებლების, კიდული გზების სხვადასხვა სისტემის ელექტროძრავების წარმოება და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდება.

დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს გააძლიეროს მუშაობა იმ ახალი მანქანებისა და იარაღების კონსტრუირების დარგში, რომლებიც საჭირო საკვებმოპოვების კომპლექსური მექანიზაციისათვის, მდელოებისა და საძოვრების ამოშრობისა და არსებითი გაუმჯობესებისათვის, საძოვრების წყლით უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის.

11. უზრუნველყოფილ იქნას მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა კოლმეურნეობებში 1954 წელს შემდეგი ოდენობით: ბაკებისა და სახბორეებისა — 4,2 მილიონი სულისათვის, ფარეხებისა — 16,3 მილიონი სულისათვის, საღორეებისა — 2,5 მილიონი სულისათვის, საფრინველეებისა — 27 მილიონი ფრთისათვის, წიწილების სადგომებისა — 30 მილიონი ფრთისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად შიფერის, ხე-ტყისა და სხვა საშენი მასალების გამოყოფა საჭირო რაოდენობით.

გადიდდეს კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად აგურის, კრამიტის, კირის წარმოება ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის საწარმოებში. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს სამეურნეო მიზანშეწონილობის შემთხვევაში საკუთარი ძალებითა და სახსრებით დაამზადონ აგური, კრამიტი და კირი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ შეისწავლონ და 3 თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებისათვის ადგილობრივი ხე-ტყის დამზადების საქმის გაუმჯობესების დარგში.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1953 წლის 7 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

12. საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის მნიშვნელოვანი აღმავლობის, მისი პროდუქტიულობის ზრდის, პროდუქციის, თვითღირებულების შემცირებისა და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლის, ტყავისა და სხვა პროდუქტების ჩაბარების გადიდების მიზნით საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას კარგი თივის, წვნიანი საკვებისა და მნიშვნელოვანწილად საკუთარი წარმოების კონცენტრირებული საკვების წარმოება საკმაო რაოდენობით. გადაჭრით გაუმჯობესდეს მშენებლობის საქმე და უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის მთელი სულადობა კეთილმოწყობილი სადგომებით. უახლოეს 2-3 წელიწადში განხორციელდეს საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის კომპლექსური მექანიზაცია. 1954-1955 წლებში საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისათვის საჭირო რაოდენობით აშენდეს საცხოვრებელი სახლები, სკოლები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა წლიურ გეგმებში გაითვალისწინოს სახსრების, მასალებისა და მოწყობილობის გამოყოფა საჭირო რაოდენობით.

13. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგილობრივი პარტიული ორგანოების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა გადაჭრით გაძლიერდეს ხელმძღვანელობა მეცხოველეობის განვითარებისადმი. საზოგადოებრივი მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ყველაზე რთული დარგია, რომელიც მოითხოვს ყოველდღიურ ზრუნვას, ყურადღებასა და კვალიფიციურ ხელმძღვანელობას. პარტიულმა ორგანოებმა ბოლო უნდა მოუღონ მეცხოველეობის მხრივ საქმის ვითარებაში ჩაურევლობის პრაქტიკას, განსაკუთრებით ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა უფრო სწრაფად დაეუფლოთ მეცხოველეობის მსხვილი მეურნეობის გაძღოლის ტექნიკასა და ეკონომიკას, შეავმნათ სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის მაღალკვალიფიციურ ხელმძღვანელთა მრავალრიცხოვანი კადრები. საჭიროა სწორად გავანაწილოთ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ძალები, რათა მეცხოველეობის მუშაკთა რიგები შეივსოს ახალი ათასობით კომუნისტითა და კომკავშირელით.

თუ ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ორგანიზატორები, კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა კოლმეურნე და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები გადაჭრით და ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეს და ამისათვის არ დაიშურებენ ძალებსა და სახსრებს, უახლოეს 2-3 წელიწადში ჩვენი ქვეყანა უხვად მიიღებს ხორცს, რძეს, ერბო-კარაქს, კვერცხსა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს მოსახლეობისათვის და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულს მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის.

III.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანისა და დამზადების გადიდების შესახებ

ჩვენს ქვეყანას კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის დიდი შესაძლებლობა აქვს. იყენებენ რა ამ შესაძლებლობას, მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კარტოფილის, კომბოსტოს, პამიდორის, კიტრისა და სხვა ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავალი მოჰყავთ. ივანოვოს ოლქის შუის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ჰექტარზე იღებს ბოსტნეულის 300 ცენტნერ, ხოლო კომბოსტოს 450 ცენტნერ საშუალო მოსავალს. ამ კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადებში კომბოსტოს და სტაფილოს მოსავალმა ჰექტარზე შეადგინა 500 ცენტნერი და კიტრის მოსავალმა — 320 ცენტნერი. კიევის ოლქის ჩერნობილის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე 607 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანეს. მოსკოვის ოლქის გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ცალკეულ ნაკვეთებში ჰექტარზე იღებენ 800-1.000 ცენტნერ კომბოსტოს და 400-600 ცენტნერ სტაფილოს.

მაგრამ კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის გადიდების არსებული შესაძლებლობანი დამაკმაყოფილებლად არ არის გამოყენებული, ხოლო ამ კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის შეძენილი მოწინავე გამოცდილება ცუდად ინერგება წარმოებაში.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კარტოფილი ითესება დიდი დაგვიანებით, გაუპატიეებელ მიწაზე, დარგვის დროს ამცირებენ მოთესვის ნორმებს. კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესის მწკრივთა შორის დამუშავება ცუდად არის მოწყობილი. მოსავლის დაგვიანებული და არაკეთილხარისხოვანი აღება დიდ დანაკარგებს იწვევს. ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წაყრუებით კოლმეურნეობები დამკვიდრდა არასწორი დამოკიდებულება კარტოფილის სათესლე ფონდების შენახვისადმი. სათესლე ფონდები იქმნება არა სექტემბერში, როცა ამისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია, არამედ ოქტომბერსა და ნოემბერში, როცა ავდარი და ყინვა იწყება. ამის შედეგად ინახავენ სველ ან მოყინულ, გადაურჩეველ კარტოფილს, მისა მნიშვნელოვანი ნაწილი შენახვისას ფუჭდება.

სუსტად არის განვითარებული კვალსასათბურე და სასათბურე მეურნეობა, რის გამო ძალიან ცოტაა ბოსტნეულის წარმოება ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში და საკმაო ოდენობით არ გამოჰყავთ კომბოსტოს, პამიდორისა და სხვა ბოსტნეული კულტურების ჩითილი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის სერიოზული ჩამორჩენა აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს არ დაუყენებიათ და არ გადაუჭრიათ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების ისეთი ძირეული საკითხები, როგორიც არის კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვის, რგვის, დამუშავებისა და მოსავლის აღების მექანიზაცია, მათი მოყვანის აგროტექნიკის გაუმჯობესება, ამ კულტურების წარმოებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური დაინტერესების გადიდება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ცუდად მუშაობენ კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანისათვის. თუ მარცვლეულის მეურნეობაში მტს-ები ასრულებენ ძირითად სამუშაოთა 90-95 პროცენტს, კოლმეურნეობებში კარტოფილის რგვა მტს-ების ძალებით შესრულებული იყო 1952 წელს მხოლოდ 14 პროცენტით, მოსავლის აღება — 6 პროცენტზე ნაკლები, ხოლო ბოსტნეული კულტურების მოყვანის მექანიზაციის სამუშაოები თითქმის სრულიად არ წარმოებულა. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება ბოლო დრომდე ემყარებოდა ხელით შრომას და საკმაოდ არ ხდებოდა ეკონომიური წახალისება. რასაც არ შეიძლებოდა არ გამოეწვია და მართლაც გამოიწვია მისი სერიოზული ჩამორჩენა.

კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების წარმატებით განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა წარმოებაში. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროში, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში და მათ ადგილობრივ ორგანოებში გულგრილად ეკიდებიან კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის ახალ პროგრესულ საშუალებებსა და ხერხებს და უწინარეს ყოვლისა ამ კულტურების კვადრატულ-ბუდობრივ რგვას, აგრეთვე ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანას ბოსტნეულის ჩითილიანი ტორფნეშომპალიან ქოთნებში. მრავალი წლის წინათ შემუშავებული და დიდი ეკონომიური ეფექტის მომცემი ეს ხერხები დიდხანს არ ყოფილა რეკომენდებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის წარმოებაში მასობრივად დასანერგავად. 1953 წელს კარტოფილი კვადრატულ-ბუდობრივი წესით დაირგო მხოლოდ 318 ათას ჰექტარ ფართობზე, რაც კარტოფილის ნარგავის მთელი ფართობის 10 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. ტორფნეშომპალიან ქოთნებს ბოსტნეულის ჩითილისათვის მხოლოდ ცალკეულ მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყენებენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში მთავარ ამოცანად მიაჩნია ამ კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა და მოწინავე აგროხერხების გამოყენების საფუძველზე. ამოცანა ის არის, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება აყვანილ იქნას ისეთ ოდენობამდე, რაც სავსებით დააკმაყოფილებს არა მარტო ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, გადამამუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებას, არამედ მეცხოველეობის საჭიროებასაც კარტოფილზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებას შემდგომი გადიდების მიზნით 1954 წელს კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი აყვანილ იქნას შემდეგ ოდენობამდე:

ა) კოლმეურნეობებში კარტოფილისა 4.143 ათას ჰექტარამდე და ბოსტნეული კულტურებისა 1.008,5 ათას ჰექტარამდე. უზრუნველყოფილ იქნას კარტოფილის რგვა სარწყავ მიწებზე კოლმეურნეობებში 153,4 ათას ჰექტარზე და ბოსტნეული კულტურებისა — 284,2 ათას ჰექტარზე;

ბ) სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში — კარტოფილისა 218 ათას ჰექტარზე და ბოსტნეული კულტურებისა 72,5 ათას ჰექტარზე და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში — კარტოფილისა 44 ათას ჰექტარზე და ბოსტნეული კულტურებისა — 20 ათას ჰექტარზე.

2. დაწესდეს 1954 წლისათვის დავალება კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის დარგში ჰექტარზე სულ ცოტა:

ა) კოლმეურნეობებში — კარტოფილი 140 ცენტნერი, კომბოსტო — 175 ცენტნერი, კიტრი — 110 ცენტნერი, პამიდორი — 135 ცენტნერი, ხახვი — 85 ცენტნერი, სტაფილო — 120 ცენტნერი, სუფრის ჭარხალი — 130 ცენტნერი;

ბ) საბჭოთა მეურნეობებში — კარტოფილი 140 ცენტნერი, კომბოსტო — 210 ცენტნერი, კიტრი — 115 ცენტნერი, პამიდორი — 165 ცენტნერი, ხახვი — 100 ცენტნერი, სტაფილო — 135 ცენტნერი და სუფრის ჭარხალი — 155 ცენტნერი.

3. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს მნიშვნელოვნად გაადიდონ კარტოფილის წარმოება, განსაკუთრებით სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალურ რაიონებში, სადაც ამისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ, ადგილობრივმა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებათა სისტემა კარტოფილის მოსავლიანობის გასაადიდებლად სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალურ რაიონებში და უწინარეს ყოვლისა უზრუნველყონ:

ა) ფართოდ დანერგვა რგვის კვადრატულ-ბუდობრივი ხერხისა და ნათესების მოვლის და კარტოფილის მოსავლის აღების სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაციისა;

ბ) კარტოფილის განლაგება საუკეთესო მიწებზე, მათ შორის მდინარეთა ნოლებში;

გ) კარტოფილის ნათესების გადიდება სარწყავ მიწებზე;

დ) სასუქების, განსაკუთრებით ნაკელის გამოყენების მნიშვნელოვანი გადიდება.

4. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წინაშე დაისახოს ამოცანა, რომ 1954-1955 წლებში უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის და მოსავლის აღების ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის შემდეგი დონე (პროცენტობით სამუშაოთა საერთო მოცულობის მიმართ): კარტოფილის თესვის, მწკრივთა შორის დამუშავებისა და მოსავლის აღების მექანიზაცია კოლმეურნეობებში 1954 წელს 40-65 პროცენტით და საბჭოთა მეურნეობებში 80-90 პროცენტით. 1955 წელს კარტოფილის თესვის, მწკრივთა შორის დამუშავებისა და მოსავლის აღების მექანიზაციის დონე აყვანილ იქნას კოლმეურნეობებში 80-90 პროცენტამდე და საბჭოთა მეურნეობებში — 95 პროცენტამდე.

1954 წელს მექანიზებულ იქნას ბოსტნეულის თესვა კოლმეურნეობებში 50 პროცენტით, ჩითილის რგვა — 35 პროცენტით, ბოსტნეულის მწკრივთა შორის დამუშავება — 70 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობებში ამ სამუშაოთა მექანიზაციის დონე აყვანილ იქნას 80-85 პროცენტამდე. 1955 წელს ბოსტნეულის თესვის მექანიზაციის დონე კოლმეურნეობებში აყვანილ იქნას 80-90 პროცენტამდე, ჩითილის რგვა — 70-80 პროცენტამდე, ბოსტნეული კულტურების მწკრივთა შორის დამუშავება — 80-90 პროცენტამდე. საბჭოთა მეურნეობებში 1955 წელს ბოსტნეულის მოყვანის მთელი სამუშაოების მექანიზაცია უზრუნველყოფილ იქნას 95 პროცენტით.

5. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უზრუნველყონ კარტოფილის თესვის, ბოსტნეული კულტურების თესვისა და რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის ფართოდ დანერგვა, რაც იძლევა ორი მიმართულებით მათი დამუშავების მექანიზაციის შესაძლებლობას. უზრუნველყოფილ იქნას 1954 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილის, პამიდორისა და კომბოსტოს თესვა, როგორც წესი, კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული ხერხით. რადგან 1954 წელს კარტოფილის სათესი მანქანები ჯერ კიდევ არ იქნება საკმარისად მთელ ფართობზე მანქანური თესვისათვის, კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დროს ფართოდ იქნას გამოყენებული გუთნები, კულტივატორები და სხვა იარაღები.

6. ფართოდ დაინერგოს წარმოებაში ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალიან ქოთნებში, რადგან ეს ხერხი ბევრად ადიდებს მოსავალს და უზრუნველყოფს ბოსტნეულის უფრო მალე დამწიფებას. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, 1954 წლიდან დაწყებული უზრუნველყონ ტორფნეშომპალიანი ქოთნების დამზადება და იქ ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა გააცნონ კოლმეურნეობებს ტორფნეშომპალიანი ქოთნების დამზადების დავალება და მოაწყონ კონტროლი ამ დავალებათა შესრულებისადმი.

7. კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად და ასაღებად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ფართო გამოყენების მიზნით წარმოებაში ათვისებულ იქნას და სოფლის მეურნეობას გადაეცეს შემდეგი მანქანები და იარაღები: ოთხმწკრივიანი კვადრატულ-ბუდობრივი კარტოფილსათესი მანქანა; ოთხმწკრივიანი კულტივატორი — მიწისშემოსაყრელი, მინერალური სასუქების შესატანი სამარჯვით; მცენარის მკვებავი კულტივატორი ხტზ-7 ტრაქტორისათვის; კარტოფილის ასაღები კომბაინი; ფოჩის გასაცლელი აპარატი; ბოსტნეულის სათესი მანქანა ხტზ-7 ტრაქტორისათვის; ჩითილსარგავი მანქანა ჩითილის კვადრატული რგვისათვის; ტორფნეშომპალიანი ქოთნების საკეთებელი ჩარხი მექანიზებული მიწოდებითა და საზელით; ხტზ-7 ტრაქტორის საფრქვევ-სასხურებელი; საწვიმებელი დანადგარი; ტრაქტორის უნივერსალური საკიდი სატვირთავი; ნაკელის, ტორფის, მინერალური სასუქისა და კირის მოსაფანტი; ავტომწუნწუხსასხმელი თხევადი ორგანული სასუქისა და მინერალური სასუქის ხსნარის შესატანად, გადიდებული ტევადობის ძარებიანი ავტოთვითსაცლელები ბოსტნეულის, კარტოფილის, ორგანული და მინერალური სასუქების გადასაზიდავად, აგრეთვე სხვა მანქანები.

8. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი „1953 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმისა და ამ პროდუქტების დასამზადებელი ფასების გადიდების შესახებ“ და „კარტოფილისა და ბოსტნეულის საკოლმეურნეო ვაჭრობის გაჩაღების შესახებ“, რომელთა მიზანია კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მატერიალური დაინტერესების გაძლიერება კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების ყოველმხრივ გადიდებით.

9. ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებით კოლმეურნეობათა დაინტერესების გაძლიერების მიზნით შემცირდეს კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ამ კულტურების საავალდებულო ჩაბარების ნორმები და გადიდდეს სახელმწიფო შესყიდვა მომატებულ ფასებში. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობასა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს შეიმუშაონ და ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა კომლების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის საავალდებულო ჩაბარების ახალი ნორმები რაიონების მიხედვით, აგრეთვე კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის საავალდებულო ჩაბარების ნორმები. ახალი ნორმების შემუშავებისას არ დაუშვან ნორმების რაოდენობის მხრივ დიდი გადახრა იმ რაიონებში, რომლებსაც დაახლოებით თანაბარი პირობები აქვთ კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსაყვანად, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ახლომდებარე რაიონებში კი საავალდებულო ჩაბარების ნორმები მხოლოდ რამდენამდე უნდა აღემატებოდეს ნორმებს სხვა რაიონებთან შედარებით.

10. ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო ბოსტნეულის წარმოების რაც შეიძლება სწრაფად გადიდების მიზნით დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს მოსკოვის ოლქის მაგალითისამებრ შეიმუშაონ ნოლა მიწებში, დაბლობ ნაკვეთებზე და ამოშრობილ სატორფეებში ბოსტნეულის ნათესების კონცენტრაციის, ბოსტნეული კულტურების მოყვანის მექანიზაციისა და ამ საფუძველზე ბოსტნეულის წარმოების გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი.

11. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების საქმეში საბჭოთა მეურნეობების დიდი მნიშვნელობის გამო დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 1953-1954 წლებში დამატებით გადაიყვანოს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებაზე 154 საბჭოთა მეურნეობა და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს 7 საბჭოთა მეურნეობა.

12. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს უზრუნველყონ 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში გათვალისწინებულ დავალებათა შესრულება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობის დარგში.

გაშენდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1954 წელს 9.197 ათასი ცალი სათბურის ჩარჩო და 514,5 ათასი კვადრატული მეტრი კვალსათბური და 1955 წელს სათბურების ჩარჩოები 11.896 ათასი ცალი და კვალსათბურები 745,4 ათასი კვადრატული მეტრი. მოეწყოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1954 წელს სათბურების ჩარჩოები 2.789 ათასი ცალი და კვალსათბურები 252 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო 1955 წელს სათბურების ჩარჩოები 2.858 ათასი ცალი და კვალსათბურები 362 ათასი კვადრატული მეტრი..

გათვალისწინებულ იქნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათბურებისა და კვალსათბურების ფართოდ დანერგვა ორთქლის, წყლისა და ელექტროგათბობით, ფართოდ გამოყენებულ იქნას სათბურების, კვალსათბურების გასათბობად და გრუნტის დასათბუნებლად სამრეწველო საწარმოთა თბონარჩენი. საჭიროდ იქნას ცნობილი, მოსკოვის იმ სამრეწველო საწარმოთა მაგალითისამებრ, რომლებიც კოლმეურნეობებს შეფობენ, გაეწიოს დახმარება კოლმეურნეობებს სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობაში კოლმეურნეობათა სახსრებით. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დამზადება და მიყიდვა სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობისათვის საჭირო მასალებისა და დეტალებისა და სათბობით მათი უზრუნველყოფა.

13. კარტოფილის მეთესლეობის დარგში სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო და გამოთესვის ნორმების შემცირების მავნე პრაქტიკის აღსაკვეთად, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ამისათვის, რომ 1953 წლის მოსავლიდან დაწყებული კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყონ თავიანთი თავი კარტოფილის საკუთარი კეთილხარისხოვანი თესლით სრული მოთხოვნილების ოდენობით და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან გამოთესვის ნორმების შემცირება. დაწესდეს, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უნდა გამოჰყოს კარტოფილის თესლის ფონდები მოსავლის მასობრივი აღების დაწყებისას.

14. კარტოფილითა და ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კულტურების მოსავლის წარმატებით აღებას, დამზადებასა და შესყიდვას 1953 წელს. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ცენტროსოიუზს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებს, საოლქო აღმასკომებს უზრუნველყონ კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის გეგმის წარმატებით შესრულება. კოლმეურნეობებს გაეწიოთ ყოველმხრივი დახმარება მოსავლის აღების მოწყობაში და განსაკუთრებით მოსავლის აღების სამუშაოთა მექანიზაციაში, აგრეთვე კარტოფილისა და ბოსტნეულის ტრანსპორტირებაში მინდვრებიდან და საკოლმეურნეო საწყობებიდან დამამზადებელ პუნქტებში, ნავსადგურებსა და რკინიგზის სადგურებში.

გზათა სამინისტრომ, საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტრომ, სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ მისცენ კოლმეურნეობებს, რომლებმაც შეასრულეს კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებისა და ნატურსაზღაურის გეგმა, სატრანსპორტო საშუალებანი პროდუქტების გადასაზიდავად საკოლმეურნეო ბაზრებში რეალიზაციისათვის.

15. რათა უფრო სრულად და სწორად გამოყენებულ იქნას მინერალური სასუქები, რაც კოლმეურნეობებს ეძლევათ კარტოფილისა და ბოსტნეულისათვის, დაწესდეს, რომ მინერალური სასუქები ამ კულტურების ნათესებისათვის 1953 და 1954 წლებში კოლმეურნეობებს მიეცემათ კრედიტად კარტოფილის ან ერთ-ერთი ბოსტნეული კულტურის მიმდინარე წლის მოსავლიდან ნატურით შემდგომ ასანაზღაურებლად. დაევალოს „სოიუზსელხოზავტოტრანსს“ და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს მინერალური სასუქების გაზიდვა სახელმწიფო საწყობებიდან, ხოლო მტს-ებსა და კოლმეურნეობებს — მათი მინდვრად შეტანა.

16. საჭიროდ ჩაითვალოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მებოსტნეობის ბრიგადების განმტკიცება, მოეწყოს მუშაობა, რათა კოლმეურნეობებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა შეისწავლონ შრომის მოწინავე ხერხები ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის მოყვანის დარგში, მომზადებულ იქნას თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კადრები კარტოფილსარგავი, ჩითილსარგავი და სხვა მანქანებით მუშაობისათვის. კურსების, რადიოს, კინოს და პრესის საშუალებით, აგრეთვე სპეციალური ლექციებისა და საუბრების მოწყობით ყველა კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკს შეასწავლონ კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის თანამედროვე ტექნიკა და აგროტექნიკა. ამ ტექნიკის დაუფლება ბოსტნეულისა და კარტოფილის მექანიზებული თესვისა და რგვის წარმატებით განხორციელებისა და მათი დამუშავებისა და მოსავლის აღების გადამწყვეტი პირობაა.

17. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, პარტიის რაიონულ კომიტეტებს, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გადაჭრით გაუმჯობესონ ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობა. მებოსტნეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი რთული დარგია. ამ დარგს რომ სწორად უხელმძღვანელო, უნდა იცნობდე მას. პარტიული ხელმძღვანელი, რომელიც ვერ იცნობს კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის მექანიზაციასა და აგროტექნიკას, რომელსაც ვერ წარმოუდგენია კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვის, თესვის არსი და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი, სათავეში ვერ ჩაუდგება მებოსტნეობისა და კარტოფილის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლას. პარტია პარტიული ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს საქმით უზრუნველყონ ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების მკვეთრი აღმავლობა.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1953 წლის 7 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

IV.

მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების შესახებ

არსებითი მიღწევებია მარცვლეული მეურნეობის განვითარებაში. ყველაზე ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის ნათესი ფართობი გადიდდა 8,1 მილიონი ჰექტარით 1940 წელთან შედარებით. სურსათით ჩვენი ქვეყნის მომარაგებისათვის ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა რაიონებმა, როგორიც არიან უკრაინა, ჩრდილოეთი კავკასია, ყირიმი, რომლებიც ძლიერ დაზარალდნენ ომის დროს, სწრაფად აღადგინეს სოფლის მეურნეობა და მნიშვნელოვნად გააფართოეს მარცვლეულის, განსაკუთრებით საშემოდგომო ხორბლის წარმოება. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ხორბლის მოსავალს ჰექტარზე იღებს 150-200 ფუთს და მეტს.

აღდგენილი და გადიდებულია შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას და მთელი რიგი სხვა ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი. შაქრის ჭარხლის ნათესისა და მისი მოსავლიანობის გადიდებამ უზრუნველყო მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება შაქრით. დიდი მიღწევებია ბამბის წარმოებაში, განსაკუთრებით უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკებში. ამის შედეგად მრეწველობა გაცილებით მეტ ბამბის ქსოვილებს უშვებს, ვიდრე ომამდე.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სერიოზული მიღწევების არსებობისას, მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების წარმოებაში არსებითი ნაკლოვანებებია. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მარცვლეული, ზეთოვანი, პარკოსანი კულტურებისა და საბოჭკოე სელის ჯერ კიდევ მცირე მოსავალს იღებს, განსაკუთრებით არაშავნიადაგიანი ზოლის, ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქების, ვოლგისპირეთისა და ციმბირის რაიონებში. უკრაინის სსრ კოლმეურნეობებში უკანასკნელი წლების მანძილზე შემცირდა სიმინდის ნათესი ფართობი და მოსავლიანობა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავლის ძირითადი მიზეზია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ შესრულებულ სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, ბევრი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გულგრილი დამოკიდებულება აგროტექნიკის საკითხებისადმი.

ბევრი მანქანა-ტრაქტორთა სადგური არადროულად და არაკეთილხარისხოვნად ასრულებს მინდვრის სამუშაოებს, არ ასრულებს მზრალად ხვნის გეგმებს, რის შედეგადაც საგაზაფხულო კულტურების თესვა მნიშვნელოვანწილად წარმოებს გაზაფხულის ნახნავში. საგაზაფხულო თესვის ვადები შეუწყნარებლად ჭიანურდება. ანეულს გვიან ხნავენ და ცუდად ამუშავებენ, საშემოდგომო კულტურები დროზე არ ითესება. საბოლოოდ აღმოფხვრილი არ არის უჯიშო, არაკეთილხარისხოვანი თესლისა და თესვის ნორმების შემცირების მანკიერი პრაქტიკა.

ისეთი მოწინავე აგროტექნიკური ხერხები, როგორიც არის მარცვლეული კულტურების ვიწრო მწკრივად და ჯვარედინად თესვა, სიმინდის, მზესუმზირას კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა და სხვ. ფართოდ არ არის გამოყენებული, თუმცა ამ ხერხებმა სავსებით გაამართლეს თავისი დანიშნულება პრაქტიკაში. საუკეთესო, ყველაზე უხვმოსავლიანი ჯიშები სუსტად ინერგება წარმოებაში. უყურადღებოდ არის მიტოვებული უგრეხელის, ფეტვის, საბოჭკოე სელის, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების მეთესლეობა.

ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ ადგილებზე არ გააჩაღა სათანადო მასობრივი მუშაობა მოწინავე აგროტექნიკის დასანერგავად, სუსტად რაზმავენ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისა და მოსავლის აღების ყველა სამუშაოს დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში მარცვლეული, ზეთოვანი და ტექნიკური კულტურების მცირე მოსავლიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქების, განსაკუთრებით ნაკელის, ტორფის, ტორფოვანი კომპოსტების არასაკმაოდ შეტანა. ნაკელსაცავების უქონლობის გამო ნაკელი კოლმეურნეობებში არასწორად ინახება და კარგავს თავის ღირებულებას. ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, ბრიანსკის, სმოლენსკის, ველიკიე ლუკისა და ზოგ სხვა ოლქში სრულიად არასაკმაო რაოდენობით ითესება მწვანე სასუქებით გაპოხიერებულ მიწაში ხანჭოლა, ჩიტფეხა და სხვა კულტურები. მეავე, კორდიან-ეწეროვანი ნიადაგების რაიონებში მეტი წილი კოლმეურნეობანი არ ეწევიან ნიადაგების გაკირიანებას.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იმის გამო, რომ დროზე და კეთილხარისხოვნად არ სრულდება მარცვლეული, ზეთოვანი და ტექნიკური კულტურების ნათესთა მოვლის სამუშაოები, აგრეთვე აღების დროს მოსავლის დანაკარგის გამო გვაკლდება დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

მოწყობილი არ არის კონტროლი მტს-ების სამუშაოთა ვადების დაცვისა და ხარისხისადმი. მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხისადმი კონტროლის საველმწიფო ინსპექტორები — სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოთა მთავარი აგრონომები, რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროთა, სოფლის მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოთა მთავარი და უფროსი აგრონომები მოწყვეტილი არიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობას და არ ასრულებენ მათთვის დაკისრებულ საკონტროლო ფუნქციებს. სწორი არ არის მოსავლიანობის დაგეგმვის პრაქტიკა, რომლის დროსაც მოწინავე კოლმეურნეობებსა და მათს მემინდვრეობის ბრიგადებს მოსავლიანობის მეტად დიდი საგეგმო დავალებანი ეძლევათ, რაც კოლმეურნეებს და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს უკარგავს იმის შესაძლებლობას, რომ დამატებითი ანაზღაურება მიიღონ თავიანთი უფრო ნაყოფიერი შრომისათვის.

მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების საერთო და სასაქონლო პროდუქციის შემდგომი გადიდების მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. რადგან მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია, საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ ყოველი ღონისძიებით განვითარდეს მარცვლეულის მეურნეობა და განსაკუთრებით ყველაზე ძვირფასი სასურსათო კულტურის — საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის წარმოება მოსავლიანობის შემდგომი გადიდების გზით როგორც მისი წარმოების ძირითად რაიონებში, ისე ცენტრალური შავნიადაგიანი ზოლის რაიონებში, ვოლგისპირეთის მარჯვენა ნაპირის რაიონებში. სამხრეთ-აღმოსავლეთის, ყაზახეთისა და დასავლეთ ციმბირის რაიონებში გადიდდეს მაგარი ხორბლის წარმოება.

2. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს განახორციელონ ღონისძიებანი საბურღულე კულტურების, განსაკუთრებით უგრეხელის და ფეტვის წარმოების ჩამორჩენის დასაძლევად.

უგრეხელის და ფეტვის მოყვანით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეკონომიური დაინტერესების გასაძლიერებლად ნება დაერთოთ კოლმეურნეობებს:

ა) ჩაბარონ უგრეხელი სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის სამუშაოების ნატურანაზღაურების წესით სხვა სასურსათო კულტურების ნაცვლად, ამასთან შეცვლის ეკვივალენტად დაწესდეს 100 კილოგრამი უგრეხელი 200 კილოგრამ ჭვავში ან 150 კილოგრამ ხორბალში. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს აძლიონ კოლმეურნეებსა და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს დამატებითი ანაზღაურება ნატურით კოლმეურნეობისათვის დაწესებული მოსავლიანობის გეგმის გადამეტებით აღებული უგრეხელის მოსავლის 50 პროცენტამდე ოდენობით. დამატებითი ანაზღაურების მიცემა მოხდეს მიუხედავად იმისა, თუ მარცვლეული კულტურების რა საერთო მოსავალი მოვიდა კოლმეურნეობაში და შესრულებულია თუ არა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა;

ბ) ჩაბარონ ფეტვი სახელმწიფოს სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის სამუშაოთა ანაზღაურების წესით სხვა სასურსათო კულტურების ნაცვლად 105 კილოგრამ ხორბალში ან 125 კილოგრამ ჭვავში 100 კილოგრამი ფეტვის ანგარიშით. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, რომ კოლმეურნეებსა და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს მისცენ დამატებითი ნატურსაზღაური იმ ფეტვის მოსავლის 50 პროცენტამდე ოდენობით, რომელიც ფაქტიურად მოწეულია კოლმეურნეობისათვის მოსავლიანობის დაწესებული გეგმის გადამეტებით, დამოუკიდებლად კოლმეურნეობაში მარცვლეული კულტურების საერთო მოსავლისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმის შესრულებისა.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მოაწყოს ინსტიტუტებსა და საცდელ სადგურებში ჩუმიძის ფართო გამოცდა, გამოავლინოს ყველაზე მოსავლიანი, ადგილობრივ პირობებს შეგუებული ჯიშები, შეიმუშაოს მისი მოყვანის აგროტექნიკა, რათა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დანერგოს ამ უხვმოსავლიანი კულტურის თესვა.

3. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სამხრეთის, ამიერკავკასიის, შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ოლქებისა და რესპუბლიკების ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ღონისძიებანი ბრინჯის მოსავლიანობის მნიშვნელოვნად აღმლიებისა და ნათესი ფართობების გადიდებისათვის, უზრუნველყონ სარწყავი ქსელის დროზე მომზადება, ბრინჯის მოყვანის აგროტექნიკის დონის ამაღლება და მისი მოსავლის დროზე აღება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების (ბარდა, ლობიო და სხვ.) წარმოებას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

4. მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საფურაჟე მარცვლეული კულტურების — სიმინდის, ქერისა და ჭვავის წარმოების გადიდებას. ამ კულტურების წარმოება უახლოეს 2-3 წელიწადში უნდა განვითარდეს ისეთი ოდენობით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკმაო რაოდენობის საფურაჟე მარცვლეულით.

სიმინდის ნათესები მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ, ცენტრალურ, შავნიადაგიან და არაშავნიადაგიან რაიონებში. სიმინდის წარმოების გასაუმჯობესებლად ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა, რაც უზრუნველყოფს შრომის ხარჯვის მნიშვნელოვან შემცირებას, მწკრივთა შორის დამუშავების მექანიზაციას და ამით მოსავლის გადიდებას. საჭიროა აგრეთვე მტკიცედ გადავიდეთ სიმინდის თესვაზე ჰიბრიდული თესლით.

5. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ბამბის წარმოების შემდგომი ზრდა მიღწეულ უნდა იქნას ბამბის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და ნათესი ფართობის გადიდებით გამოუყენებელი მიწების აღდგენისა და ახალი სარწყავი მიწების ათვისების, აგრეთვე მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესების გზით. საჭიროა გაძლიერდეს სელექციური მუშაობა ბამბის ახალი უხვმოსავლიანი, ალმწიფებადი, საშუალობოჭკოიანი და გრძელბოჭკოიანი ჯიშების შესაქმნელად, რომლებიც შეგუებული იქნებიან გარკვეული ნიადაგისა და ჰავის ზონების პირობებთან და გამოსადეგი იქნებიან მანქანით დასამუშავებლად.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ღონისძიებანი ბამბის მოსავლის ასაღები არსებული მანქანების გამოყენების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, ხოლო მანქანათმშენებლობის სამინისტროს — 1954-1955 წლების მანძილზე ბამბის მოსავლისა და კოლოფების აღების ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანების შესაქმნელად.

6. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ღონისძიებანი შაქრის ჭარხლის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ჭარხლის მოყვანის აგროტექნიკის დონის ამაღლების, მოსავლის მექანიზებული აღების, სასუქის შეტანისა და ამ კულტურის დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საჭირო ღონისძიებების განხორციელების გზით.

შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების, დატვირთვისა და გადმოტვირთვის მექანიზაციის გაძლიერების მიზნით დაევალოს სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის დამზადებათა სამინისტროს მნიშვნელოვნად გაადიდონ ჭარხლის კომბაინების წარმოება და 1953-1954 წლებში შეიმუშაონ დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მექანიზმების კონსტრუქციები, რათა უკვე 1954 წელს მოაწყონ ამ მექანიზმების წარმოება და მათი გამოყენება ჭარხლის მთესველ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

7. მესელეობისა და მეკანაფეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნას სელისა და კანაფის ნათესი ფართობის გადიდება, ამ კულტურების მოსავლიანობისა და საქონლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება. გაუმჯობესდეს სელისა და კანაფის მოყვანის აგროტექნიკა, ამ კულტურების ნათესები განლაგდეს საუკეთესო წინამორბედებზე, გადაჭრით გაუმჯობესდეს მეთესლეობის საქმე, ყოველი ღონისძიებით შემცირდეს დანაკარგები სელისა და კანაფის მოსავლის აღების საშუშაოთა და პირველადი დამუშავების დროზე და ხარისხობრივი შესრულებით, აგრეთვე სელისა და კანაფის მოყვანისა და მოსავლის აღების ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებით.

გაჩაღდეს სელისა და კანაფის ქარხნებთან სელის და კანაფის დამბალი ბოჭკოს სამრეწველო დამზადების საამქროების და სელის საცხვი საამქროების მშენებლობის სამუშაოები, რათა 1955 წელს უზრუნველყოფილ იქნას სელის ქარხნებში სელის მთელი სასაქონლო დამბალი ბოჭკოსა და ჩალის 85-95 პროცენტის გადამუშავება.

8. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ღონისძიებანი მზესუმზირას მოსავლიანობის შემდეგი გადიდებისათვის, აგრეთვე გაადიდონ ზეთოვანი სელის ფართობები ყაზახეთის, ციმბირისა და ურალის რაიონებში, უზრუნველყონ მაღალი აგროტექნიკა ზეთოვანი კულტურების მოყვანისას, ფართოდ გამოიყენონ მზესუმზირას, აბუსალათინის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, აგრეთვე მოაწყონ ამ კულტურათა ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების მექანიზაცია. უზრუნველყონ ახალი უხვზეთოვანი საადრეო და დაავადებათა გამძლე ჯიშების ზეთოვანი კულტურების გამოყვანა და წარმოებაში დანერგვა.

9. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

ა) მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ხილ-კენკრის ნარგავთა ყოველი ღონისძიებით გაფართოებისათვის, მიაღწიონ 1953 წელს ახალი ბაღების, ვენახებისა და კენკრეების გაშენების გეგმის აუცილებელ შესრულებას, რათა 1954-1955 წლებში უზრუნველყონ ხილ-კენკრის ნარგავთა ფართობის მკვეთრი გადიდება.

წესრიგზე მოიყვანონ არსებული ბაღები, ვენახები და კენკრეები, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მათი დაღუპვა ცუდი მოვლის გამო და უზრუნველყონ 1954 წელს ნაყოფის, ყურძნისა და ხილის უხვი მოსავლის მიღება;

ბ) გაადიდონ საზამთროს და ნესვის ნათესი ფართობი, ამასთან გაითვალისწინონ, რომ საჭიროა 1954 წელს უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრებში საზამთროს და ნესვის შეზიდვის სერიოზული გადიდება 1953 წელთან შედარებით.

10. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

ა) ბოლო მოუღონ მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების მეთესლეობაში თავმინებებულობას და მიიღონ ღონისძიებანი, რათა თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უზრუნველყოს თავისი თავი მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების საკუთარი თესლით, აგრეთვე მოაწყონ ამ კულტურების სასაქონლო მეთესლეობა, უწინარეს ყოვლისა იმ რაიონებში, სადაც ძველთაგანვე იღებენ ბალახების თესლის უხვ მოსავალს;

ბ) უზრუნველყონ 1953 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მზრალად ხვნა მომავალი წლის მთელ საგაზაფხულო ნაკვეთზე და აუცილებლად შეასრულონ შემოდგომის ანეულის გეგმა. 1954 წელს უზრუნველყონ აპრილისა და მაისის ანეულის ხვნა 1955 წლის საშემოდგომო ნათესების მოსავლისათვის და უმთავრესად საშემოდგომო ანეულისა 1956 წლის საშემოდგომო ნათესების მოსავლისათვის, აგრეთვე ივნისისა და ივლისის ანეულისა 1955 წლის საგაზაფხულო ხორბლის ნათესებისათვის ციმბირისა და სამხრეთ ურალის რაიონებში.

საკმაო ტენიანობის რაიონებში, განსაკუთრებით შავნიადაგიან და არაშავნიადაგიან ზოლებში, აგრეთვე უკრაინის ტყეველიან რაიონებში, სადაც შესაძლებელია საშემოდგომო კულტურების უხვი მოსავლის მიღება მოთესილ ანეულებზე, უახლოეს წლებში თანდათანობით შეიცვალოს სუფთა ანეულები მოთესილით და მათზე დათესოს საადრეო კულტურები.

11. უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი სასუქების (ნაკელი, ტორფი, წუნწუხი, სხვადასხვა კომპოსტი და სხვ.) დაგროვებისა და გამოყენების მნიშვნელოვანი გადიდება. იმ რაიონებში, სადაც ტორფი მოიპოვება, გადიდდეს მისი დამზადება სასუქისა და საფენისათვის. ფართო მასშტაბით მოეწყოს კომპოსტებისა და ორგანულ-მინერალური ნარევების მომზადება და გამოყენება, რათა უახლოეს ორ-სამ წელიწადში გადიდდეს კოლმეურნეობებში ორგანული სასუქების შეტანა ერთნახევარ-ორჯერ 1952 წელთან შედარებით.

დაევალოს ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს გაადიდონ 1954-1963 წლებში მინერალური სასუქების წარმოების სიმძლავრეები (პირობით ერთეულებზე გადაანგარიშებით) დაახლოებით 16,5-17,5 მილიონ ტონამდე 1959 წელს და 28-30 მილიონ ტონამდე 1964 წელს. აიყვანონ გრანულირებული სახით სუპერფოსფატის გამოშვება 1955 წელს 45 პროცენტამდე და 1958 წელს 60 პროცენტამდე სუპერფოსფატის საერთო წარმოებასთან შედარებით. უზრუნველყონ 1956 წელს სოფლის მეურნეობისათვის ამიაკის გვარჯილის მიწოდება მხოლოდ გრანულირებული სახით. შეიმუშაონ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ხიბინის აპატიტები, აგრეთვე ადგილობრივი-ფოსფორიტების ფართო გამოყენების საკითხი.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ღონისძიებანი მინერალური სასუქების დანაკარგების სალიკვიდაციოდ, მათი შენახვისა და გამოყენების გასაუმჯობესებლად.

12. იმის გამო, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მეავე ნიადაგების დაკირიანებას, ხოლო ბიცობი ნიადაგების რაიონებში — მათს დათაბაშირებას როგორც მოსავლიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვან საშუალებებს, დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ 1954 წლიდან დაწყებული, კირის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება საშენი მასალების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნას სოფლის მეურნეობაში, ამავე დროს გადაისინჯოს კირის გასაცემი ფასები შემცირების თვალსაზრისით.

13. ორი-სამი წლის მანძილზე გადიდდეს შხამ-ქიმიკატების, განსაკუთრებით დდტ-ს, გექსახლორანის და გრანოზანის წარმოება ერთიორად 1953 წლის გეგმასთან შედარებით, ათვისებულ იქნას უახლოეს წლებში ფოსფორორგანული პრეპარატების წარმოება, რათა მთლიანად დაკმაყოფილდეს სოფლის მეურნეობის საჭიროება შხამქიმიკატებით მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად. გადიდდეს წარმოება და უზრუნველყოფილ იქნას უახლოესი ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობა მაღალი წარმადობის მანქანებითა და აპარატურით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებასთან საბრძოლველად.

V.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლის გაძლიერების შესახებ

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო წყობილების ინდუსტრიული მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა და ისინი ამჟამად წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში, უმნიშვნელოვანეს დასაყრდენ პუნქტებს სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმეში. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა მიიღეს დიდძალი ახალი თანამედროვე ტექნიკა, რამაც შექმნა ბევრი შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციის შესაძლებლობა, შეამსუბუქა კოლმეურნეთა შრომა და მნიშვნელოვნად გაადიდა მისი ნაყოფიერება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მათი ტექნიკური აღჭურვილობის მაღალი დონით ახორციელებენ მაორგანიზებელ როლს და წარმოადგენენ დიდ სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც კოლმეურნეობებში ასრულებენ მთელ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაახლოებით სამ მეოთხედს. ამიტომ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებზე.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

ბევრი მტს-ი უზრუნველყოფილი არ არის ტრაქტორისტების, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირების, მემანქანეებისა და სხვა სპეციალობათა მუშების კვალიფიციური კადრებით. მტს-ების მექანიზატორთა კადრებს შორის დიდი დენადობაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს არასწორად მიაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში, როცა მტს-ები რთული ტექნიკით აღჭურვილი დიდი სახელმწიფო საწარმოები გახდნენ, მათ არა ჰყავთ მუდმივი მექანიზატორთა კადრები.

მტს-ებისათვის კადრების მომზადების არსებულ სისტემას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. მექანიზაციის სკოლების რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნილებას მექანიზატორთა კადრების მომზადების მხრივ, რის გამოც მტს-ები იძულებული არიან ტრაქტორისტებს, კომბაინერებსა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუშაკებს ასწავლონ მოკლევადიან კურსებზე, რაც ამცირებს მათი მომზადების ხარისხს.

ბევრი ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არასაკმაოდ მუშაობენ მტს-ების ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეზე. არ აყენებენ არსებულ შესაძლებლობებს მტს-ებში სამუშაოდ მრეწველობიდან და სამეცნიერო დაწესებულებებიდან ინჟინერთა კადრების მოზიდვისათვის. ამის გამო იმ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც ამჟამად მტს-ებას დირექტორების, მთავარი ინჟინრებისა და სარემონტო სახელოსნოთა გამგეების თანამდებობაზე მუშაობენ, პრაქტიკოსები არიან და სპეციალური განათლება არა აქვთ. მტს-ებსა და სპეციალიზებულ სადგურებს საკმაო რაოდენობით არა ჰყავთ უმაღლესი აგრონომიული და ზოოტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტები კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

მტს-ების უმრავლესობაში ცუდად არის დაყენებული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და შენახვის საქმე. ბევრ მტს-ში არ არის სარემონტო სახელოსნოები და საჭირო მოწყობილობა, გარაჟები და ფარდულები სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახავად. აგრეთვე სხვა საწარმოო და საყოფაცხოვრებო შენობები.

მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი. მრეწველობა საკმაო რაოდენობით და თავის დროზე არ უზრუნველყოფს მტს-ებს სათადარიგო ნაწილებით, ინსტრუმენტებით, ნავთობტარით, ლითონით და სხვა მასალებით, რაც

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1953 წლის 7 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

მანქანა-ტრაქტორთა პარკის მუშაობაში ხერხოზულ შეფერხებას იწვევს.

მტს-ების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის მექანიზაციაში მათი როლის გაძლიერების მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ძირითად ამოცანას წარმოადგენს კოლმეურნეობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდის უზრუნველყოფა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის ამაღლება, მიწათმოქმედების საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ. მტს-ებმა უნდა დაამთავრონ მემინდვრეობაში სამუშაოთა მექანიზაცია, ფართოდ გაჩაღონ მეცხოველეობაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგონ მეცნიერებისა და პროწინავე პრაქტიკის მიღწევანი, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცება და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

2. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მტს-ებში მუდმივი კვალიფიციური მექანიზატორთა კადრების შექმნა, რომელთაც უნარი ექნებათ ყველაზე სრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა და ამით უზრუნველყონ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

ამ ამოცანის განსახორციელებლად დაწესდეს, რომ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში ტრაქტორისტები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და მათი თანაშემწეები, ექსკავატორის მემანქანეები და მათი თანაშემწეები, საწვავის ჩამსხმელ-აღმრიცხველები მუდმივი მუშები არიან და მტს-ის შტატში უნდა ჩაირიცხონ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო და მიწისსთხრელ მანქანებზე მომუშავე მიმბმელები, კომბაინერის თანაშემწეები მტს-ის შტატში უნდა ჩაირიცხონ როგორც სეზონური მუშები.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უახლოეს ხანში უზრუნველყონ ყველა მტს-ის დაკომპლექტება მუდმივი მუშებით და მოაწყონ ტრაქტორისტების და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუდმივი მუშების სწორი გამოყენება მთელი წლის განმავლობაში. ამ მიზნით ფართოდ დაინერგოს ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, მემანქანეთა და სხვა მუდმივ მუშათა პროფესიების შეთავსება. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსაგან თავისუფალ დროს სატრაქტორო ბრიგადების მუდმივი მუშები გამოყენებულ იქნან სარემონტო სახელოსნოებში, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სამონტაჟო ბრიგადებში, მშენებლობაზე სამუშაოდ და სხვა სამუშაოებზე.

3. სატრაქტორო ბრიგადების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და წახალისების მოქმედი სისტემის დამატებით საჭიროდ იქნას მიჩნეული:

ა) დაწესდეს ფულადი ანაზღაურება, რომელსაც სატრაქტორო ბრიგადების მუშებს აძლევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ტერიტორიული ზონის მიხედვით, შემდეგი ოდენობით: ტრაქტორისტებს, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებს და მათს თანაშემწეებს 5-დან 8 მანეთამდე შრომადღეზე; საწვავის ჩამსხმელ-აღმრიცხველებს 3-დან 4 მანეთამდე შრომადღეზე; კომბაინერის თანაშემწეებს 4-დან 6 მანეთამდე შრომადღეზე; მიმბმელებს 2 მანეთი და 50 კაპიკი შრომადღეზე;

ბ) დაწესდეს, რომ არსებულ ნატურალურ საგარანტიო მინიმუმს მანქანა-ტრაქტორთა სპეციალიზებული სადგურები აძლევენ სატრაქტორო ბრიგადების მუშებს მათ მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე ფაქტიურად აღებული მოსავლის მიხედვით, ხოლო კოლმეურნეობები სასურსათო მარცვლეულს, რომელიც სატრაქტორო ბრიგადების მუშებს ეკუთვნით საგარანტიო მინიმუმის მიხედვით, აბარებენ დამამზადებელ ორგანოებს;

გ) სატრაქტორო ბრიგადების მუდმივ მუშათა შრომის ანაზღაურება სარემონტო სახელოსნოებში, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სამუშაოებისა და სხვა სამუშაოებისათვის უნდა განახორციელონ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულმა სადგურებმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მიერ დამტკიცებული განაკვეთებისა და სანარდო შეფასებათა მიხედვით;

დ) მიეცეთ საკარმიდამო ნაკვეთები ტრაქტორისტებს და მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურების სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუდმივ მუშაკებს, რომლებსაც არა აქვთ საკარმიდამო ნაკვეთები კოლმეურნეობებში.

4. კვალიფიციური მექანიზატორთა კადრების მომზადების გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს, რომ შემოღებულ იქნას მექანიზატორთა კადრების სწავლების სისტემა, რომელსაც იყენებენ მრეწველობის სახელოსნო სასწავლებლებში, ამასთან დაკავშირებით არსებული მექანიზაციის სკოლები გადაკეთდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლად, სადაც მომზადდებიან შემდეგ სპეციალობათა კადრები:

ა) ფართო პროფილის ტრაქტორისტი მემანქანეები ერთი წლის სწავლების ვადით დიზელიან ტრაქტორებზე, კომბაინებზე და რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე სამუშაოდ ზეინკლის კვალიფიკაციით;

ბ) ტრაქტორისტები სწავლების 6-თვიანი ვადით მუხლუხა, თვლიან ტრაქტორებზე და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე სამუშაოდ ზეინკლის კვალიფიკაციით;

გ) მექანიკოს-კომბაინერები სწავლების 6-თვიანი ვადით თვითმავალ და მისაბმელ კომბაინებზე სამუშაოდ, აგრეთვე მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საზეინკლო-სამონტაჟო სამუშაოებზე სამუშაოდ.

უზრუნველყოფილ იქნან სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელთა მოსწავლეები ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საცვლებით და ლოგინით, სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთათვის დადგენილი ნორმების მიხედვით.

5. მოეწყოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის 250 სახელოსნო სასწავლებელი და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ბაზაზე და შეიქმნას 1954-1957 წლებში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სულ ცოტა 300 ახალი სასწავლებელი თვითეული 240-270 მოსწავლისათვის, აგრეთვე აშენდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მოქმედი სასწავლებლებისათვის 200 სასწავლო კორპუსი, 315 კორპუსი პრაქტიკული მეცადინეობისათვის და 600 საერთო საცხოვრებელი.

დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსთან და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან ერთად წარადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ხელმძღვანელობის მოწყობის შესახებ.

6. ახალი ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და მოწყობილობით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი აღჭურვის მიზნით გათვალისწინებულ იქნას სახალხო-სამეურნეო გეგმებში სოფლის მეურნეობისათვის 1954 წლიდან 1957 წლის 1 მაისამდე სულ მცირე საერთო დანიშნულების 500 ათასი ტრაქტორის, 15-ძალიანზე გადაყვანით, და 250 ფიზიკური სათოხნი ტრაქტორის, აგრეთვე საჭირო რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ავტომობილების, მოძრავი ავტოსახელოსნოების, ნავთპროდუქტების ჰურჭლისა და სხვა მოწყობილობის მიწოდება.

7. აღინიშნოს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში შეიქმნა სერიოზული შეუსაბამობა რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მათი აღჭურვის დონესა და ამ ტექნიკის შეკეთებისა და შენახვისათვის საწარმოო-ტექნიკურ ბაზას შორის. ბევრ მტს-ს არა აქვს სახელოსნოები, გარაჟები, ფარდულები და სხვა საწარმოო და საყოფაცხოვრებო შენობები.

მტს-ების საწარმოო-ტექნიკური ბაზის განმტკიცების დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით დაწესდეს, რომ თვითეულ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურს, როგორც წესი, უნდა ექნეს ტიპური სარემონტო სახელოსნო, რომელიც შეეფერება რემონტის მოთხოვნებს, სულ ცოტა ორი-სამი გარაჟი ტრაქტორების შესანახავად, ორი-სამი ფარდული კომბაინების შესანახავად, საჭირო რაოდენობით საჩიხები და ბეტონის ღია მოედნები სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახავად, ნავთობის ბაზა, ავტოგარაჟი, სათადარიგო ნაწილების საწყობი, კანტორა, წყალმომარაგება და უმარტივესი კანალიზაცია.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს:

ა) უზრუნველყონ 1953 წელს 673 სახელოსნოს, 1.130 ფარდულისა და საჩიხის და 81.200 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის მშენებლობის დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რაც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით, და დაიწყონ 500 ახალი სახელოსნოს დამატებით მშენებლობა;

ბ) უზრუნველყონ 1954-1956 წლებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში 4.200 სარემონტო სახელოსნოს, ტრაქტორების შესანახავი 8.400 გარაჟის, კომბაინების შესანახავი 8.400 ფარდულის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახავი 15.000 საჩიხისა და 15.000 ბეტონის ღია მოედნის, 2.880 ნავთობბაზის, 3.600 ავტოგარაჟისა და სათადარიგო ნაწილების 3.600 საწყობის მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა;

გ) ააგონ 1954-1956 წლების მანძილზე 9 სარემონტო ქარხანა და კაპიტალური რემონტის 6 სარაიონთაშორისო სახელოსნო, დაამთავრონ დაწყებული მშენებლობა და 1954-1955 წლების მანძილზე აამუშაონ 36 სარემონტო ქარხანა და კაპიტალური რემონტის 15 სარაიონთაშორისო სახელოსნო;

დ) 1954-1955 წლების მანძილზე განახორციელონ 41 სარემონტო ქარხნისა და კაპიტალური რემონტის 125 სარაიონთაშორისო სახელოსნოს გაფართოება და რეკონსტრუქცია. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ყველა სარემონტო საწარმო გადაიყვანონ საკავშირო ბიუჯეტით დაფინანსებაზე.

დაევალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს პირველ რიგში გაგზავნონ მტს-ებისათვის გამოყოფილი საშენი მასალები.

8. მტს-ების მუშაობა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთათვის ჯეროვანი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით საჭიროდ იქნას მიჩნეული:

ა) აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1954-1956 წლებში 10.800 საცხოვრებელი სახლი, 3.000 საერთო საცხოვრებელი;

ბ) მტს-ებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფართო განვითარების უზრუნველსაყოფად გამოიყოს 1954-1956 წლებში ამ მიზნებისათვის 450 მილიონი მანეთი კრედიტი ყოველწლიურად და მიეცეს იგი მტს-ების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს სესხად 12.000 მანეთი თვითეულს 10 წლის ვადით და დაფარვა დაიწყოს მესამე წლიდან;

გ) გათვალისწინებულ იქნას სახალხო-სამეურნეო გეგმებში მტს-ებისათვის ასაწყობი ორბინიანი და ერთბინიანი სახლების და საშენი მასალების გამოყოფა, რათა დახმარება გაეწიოს მტს-ების მუშაკებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობაში;

დ) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს ააშენონ 1954-1955 წლების განმავლობაში საველე ბანაკებში საერთო საცხოვრებლები, ფარდულები მანქანების შენახვისა და ტექნიკური მოვლისათვის, საველე სამზარეულოები და მუდმივი ნავთობსაცავები.

9. შეუწყნარებლად იქნას მიჩნეული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოება სერიოზული ჩამორჩენა, რაც იწვევს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების არათავისდროულ და არაკეთილხარისხოვან რემონტს. მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სათადარიგო ნაწილების წარმოების გაფართოებას, აგრეთვე ამ ნაწილებით სოფლის მეურნეობის შეუფერხებელ და კომპლექტურ უზრუნველყოფას.

დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს მნიშვნელოვნად გაფართოონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოება, გააუმჯობესონ ხარისხი და შეამცირონ თვითღირებულება, რათა აღმოფხვრან მათი ნაკლებობა და უზრუნველყონ სათადარიგო ნაწილებით სოფლის მეურნეობის მომარაგება დამტკიცებული ნორმების ზუსტი შესაბამისობით, დეტალების მთელი ნომენკლატურის მიხედვით, ამასთან გაითვალისწინონ მომხმარებლებთან და გამსაღებელ კანტორებში დადგენილ გარდამავალი ნაშთების უზრუნველყოფა.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ 1954-1955 წლებში თვითეულ მტს-ში შეიქმნას ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების აგრეგატებისა და კვანძების გასაცვლელი ფონდი სატრაქტორო ბრიგადების ტექნიკური მომსახურების საჭიროებისათვის, აგრეთვე შეიქმნას აგრეგატებისა და კვანძების გასაცვლელი ფონდი სარემონტო ქარხნებსა და კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოებში ტრაქტორების, ავტომობილებისა და ძრავების კაპიტალური რემონტის შესასრულებლად ამ მანქანების არსებული პარკის 10 პროცენტის რაოდენობით.

10. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციას. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოთა გაფართოება უნდა ხორციელდებოდეს არსებული სასოფლო ელექტროსადგურების ელექტროენერგიის უკეთ გამოყენების, სარეზერვო ენერგოსისტემებთან მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეერთების გზით, აგრეთვე ახალი სასოფლო ელექტროსადგურების, ქარის ძალის დანადგართა მშენებლობის გზით. ამასთან სადგურებისა და ქსელების მშენებლობაში ჩაბმულ უნდა იქნან სამშენებლო და სამრეზველო სამინისტროები და უწყებანი. მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ელექტროენერგია უწინარეს ყოვლისა გამოყენებულ უნდა იქნას საწარმოო მიზნებისათვის.

11. რადგან მტს-ის მუშაობისათვის ნატურანაზღაურების გადახდევინების არსებული სისტემა ახლანდელ პირობებში სტიმულს არ აძლევს მოწინავე კოლმეურნეობებს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში, მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ 1954 წლიდან დაწყებული, შემოღებულ იქნას მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების მტკიცე დიფერენცირებული განაკვეთები ზონების მიხედვით, კოლმეურნეობებში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სახეობათა მიხედვით, ამასთან გამოყენებულ იქნას წამახალისებელი პრემიალური ანაზღაურება უხვი მოსავლისათვის.

12. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მანქანებისა და ტრაქტორების გამოყენების გაუმჯობესების, მათი მოვლის გაუმჯობესების, მანქანებისა და ტრაქტორების გამომუშავების გადიდების საკითხებს, ამასთან პერიოდულად გადასინჯონ გამომუშავების ნორმები, რათა სოფლის მეურნეობაში შრომის ორგანიზაცია შეესაბამებოდეს წარმოების გაზრდილ ტექნიკას და აძლევდეს მუშაკებს მანქანებსა და ტრაქტორებზე შრომის ნაყოფიერების გადიდების სტიმულს.

13. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროს გადასინჯონ ახალი მანქანების შეკვეთების მიცემის და მათი გამოცდის არსებული წესი, რათა დაჩქარდეს წარმოებაში ახალ სასოფლო-სამეურნეო მანქანათა დანერგვა.

VI.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ახალი დიდი და რთული ამოცანების შესრულება მოითხოვს კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა ავამაღლოთ სოფლად პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე, დავრაზმოთ კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა კოლმეურნის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების შემოქმედებითი აქტივობა, ავამოძრაოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი ძალები და საშუალებანი, გავზარდოთ ჩვენი კადრების პასუხისმგებლობა თვითეულ კოლმეურნეობაში, მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ რაიონში საქმის მდგომარეობისათვის.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ახლანდელ პირობებში, როცა კოლმეურნეობები მსხვილი, მრავალდარგიანი მეურნეობები გახდნენ, ხოლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურები აღჭურვილი არიან თანამედროვე ტექნიკით და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ კოლმეურნეობები და მტს-ები შემდგომ განვამტკიცოთ კვალიფიციური კადრებით, რომლებსაც შეეძლებათ უნარიანად უხელმძღვანელონ მეურნეობას და უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულება.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს შეარჩიონ და 1953 წელს მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში სარემონტო სახელოსნოების დირექტორებად, მთავარ ინჟინრებად და გამგეებად გაგზავნონ ინჟინერ-მექანიკოსები, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ თვითეულ მტს-ში ამ თანამდებობებზე იყონ, როგორც წესი, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები. მტს-ების დირექტორები, რომლებსაც სპეციალური განათლება არა აქვთ, მაგრამ კარგად შეუსწავლიათ პრაქტიკით თავიანთი საქმე და უნარიანად ხელმძღვანელობენ მტს-ებს, დატოვებულ უნდა იქნან თავიანთ თანამდებობებზე და დახმარება გაეწიოთ კვალიფიკაციის ამაღლებაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა აწარმოონ ტრაქტორისტთა და სხვა მექანიზატორთა კადრებს შორის, რომლებიც მტს-დან სამუშაოდ წავიდნენ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობაზე, სხვა ორგანიზაციებში, და მიმართონ მათ მოწოდებით დაბრუნდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, ამასთან მხედველობაში ჰქონდეთ, რომ ახლა, როცა ტრაქტორისტები იქნებიან მტს-ების შტატში და მიიღებენ მაღალ გარანტირებულ ხელფასს, ბევრი ყოფილი მექანიზატორი ხალისით წავა სამუშაოდ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

დაწესდეს, რომ ინჟინრები და ტექნიკოს-მექანიკოსები, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან იგზავნებიან მტს-ებში სამუშაოდ, აგრეთვე მტს-ებში წინათ მომუშავე ტრაქტორისტები და სხვა მექანიზატორები, რომლებმაც სურვილი განაცხადეს დაუბრუნდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, დაუბრკოლებლად უნდა გაათავისუფლონ სამუშაოდან სათანადო საწარმოებმა, დაწესებულებებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა.

3. **დაევალოს სსრ კავშირის** კულტურის სამინისტროს 1954-1955 წლებში გაუგზავნოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მტს-ებში სამუშაოდ 6.500 ინჟინერ-მექანიკოსი, მათ შორის 1954 წელს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტებისა და სხვა ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდა კურსდამთავრებული 2.500 ინჟინერი.

4. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობათა აგროტექნიკური და ზოოტექნიკური მომსახურების არსებული წესი, რომლის დროსაც სოფლის მეურნეობის ერთი სპეციალისტი მომსახურებას უწევს რამდენიმე კოლმეურნეობას, არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ გაზრდილ ამოცანებს. ასეთ პირობებში აგრონომები, ზოოტექნიკოსები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები ბევრ შემთხვევაში არ არიან საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორები და მოწყვეტილი არიან უშუალო მუშაობას კოლმეურნეობებში აგრონომიულ და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების განსახორციელებლად.

კოლმეურნეობებისადმი აგრონომიული და ზოოტექნიკური დახმარების გაძლიერების მიზნით საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ უბნის აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების ნაცვლად მტს-ებს ჰყავდეთ აგრონომები და ზოოტექნიკოსები კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოდ, რათა თვითეულ კოლმეურნეობას მუდამ უწევდეს მომსახურებას სოფლის მეურნეობის ერთი-ორი სპეციალისტი, რომლებიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურის შტატში ითვლებიან. ყველაზე დიდი ცალკეული კოლმეურნეობების მომსახურებისათვის დაშვებულ იქნას მტს-ების შტატებში თითო სპეციალისტის შენახვა ბრიგადასა და ფერმაზე.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებს, საოლქო აღმასკომებს გაგზავნონ მტს-ებში 1954 წლის გაზაფხულისათვის 100 ათასი აგრონომი და ზოოტექნიკოსი კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე იმ აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების რიცხვიდან, რომლებიც თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო სამინისტროების და მათი ადგილობრივი ორგანოების რეორგანიზაციის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში უბნის აგრონომების ქსელის და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონულ სამმართველოებში უბნის ზოოტექნიკოსებისა და აგრონომების ქსელის გაუქმების, სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტთა რიცხვის შემცირების შედეგად, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვიდან, რომლებიც ამთავრებენ სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებს.

5. დაევალოს ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ბოლო მოუღონ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმის შეუფასებლობას და უზრუნველყონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შემადგენლობის განმტკიცება, რისთვისაც შეარჩიონ და ამ სამუშაოზე დაყენებულ იქნენ პოლიტიკური და საქმიანი თვალსაზრისით შემოწმებული, უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტები, აგრეთვე სხვა სპეციალისტები და სოფლის მეურნეობის მცოდნე პრაქტიკოსები, რომლებსაც ხელმძღვანელი და ორგანიზაციული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და უნარი შესწევთ უზრუნველყონ ხელმძღვანელობა დიდი საკოლმეურნეო მეურნეობისადმი.

6. აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ მტს-ებისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის დამყარებული პრაქტიკა ამჟამად არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს და სოფლის მეურნეობაში მომხდარ ცვლილებებს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ხშირად მუშაობენ კოლმეურნეობებისა და მტს-ებისაგან მოწყვეტით, ფორმალურად უდგებიან სოფლის მეურნეობის განვითარების ბევრი საკითხის გადაჭრას, ანალიზს არ უკეთებენ მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგების თავმინებებულობის მიზეზებს და დროზე არ უწევენ საჭირო დახმარებას ჩამორჩენილ რაიონებსა და კოლმეურნეობებს.

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა და კადრებით განმტკიცდეს კოლმეურნეობები და მტს-ები სასოფლო-სამეურნეო ორგანოების აპარატში მომუშავე სპეციალისტთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით განთავისუფლებით, საჭიროდ ჩაითვალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის გარდაქმნა. ამ მიზნით:

ა) მნიშვნელოვნად შეამცირონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სამმართველო აპარატი და მისი ადგილობრივი ორგანოების შტატები, რათა აპარატიდან განთავისუფლებული სპეციალისტები გაგზავნონ სამუშაოდ მტს-ებსა და კოლმეურნეობებში და გააუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის დარგში სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ოპერატიული და ორგანიზატორული საქმიანობა;

ბ) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ მთელი მუშაობა წარმართოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების დაგეგმვისა და სოფლის მეურნეობის დარგში სახელმ-

(დასასრული მე-6 გვერდზე)

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1953 წლის 7 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

წიფო გეგმის შესრულებისადმი კონტროლის; სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის გაძლიერებისა და სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის, აგრეთვე წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის; მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის შემდგომი განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობის; სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და დაფინანსების; სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისადმი ხელმძღვანელობის; კადრების შერჩევის, განაწილებისა და მომზადების და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი კონტროლის საკითხების გადაჭრისათვის;

გ) დაეკისროს რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, რუსეთის სფსრ ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი ხელმძღვანელობა, რათა ლიკვიდირებულ იქნას შექმნილი არასწორი მდგომარეობა, რომლის დროსაც რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო და რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო არსებითად არ აგებენ პასუხს რუსეთის ფედერაციაში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების გაძღოლისათვის.

7. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდა და წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა ჯერ კიდევ არ გამხდარა განუყოფელი ნაწილი სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობისა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ. მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორების მუშაობის ახალი ხერხები და მეთოდები მეტად ნელა და გაუბედავად ინერგება წარმოებაში და ცუდად არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობისა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის წარმადობის გადიდებისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს:

ა) ბოლო მოუღონონ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმის შეუფასებლობას და უზრუნველყონ, რომ მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის განუყოფელი ნაწილი გახდეს;

ბ) სერიოზულად გააუმჯობესონ სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობა, აღმოფხვრან ფორმალიზმი კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა სწავლებაში, ჩაუნერგონ კურსების მსმენელებს პრაქტიკული ჩვევები მუშაობის მოწინავე ხერხების გამოყენებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესება;

გ) სისტემატურად მოაწყონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირთა, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის მუშაკთა სემინარები მსმენელი მეურნეობის გაძღოლის ახალი, პროგრესული აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ხერხებისა და მეთოდების შესასწავლად.

8. დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის საკითხებზე მასობრივი ლიტერატურის, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა და კურსებისათვის სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინო ხელსაწყოების გამოცემა, აგრეთვე მოაწყონ მრავალფერადი პლაკატების, სპეციალური ფურცლების გამოშვება მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მიღწევების შესახებ.

9. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საკავშირო საზოგადოებას გაუმჯობესონ ლექციური პროპაგანდა სოფლის მეურნეობის საკითხებზე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, ამ მუშაობაში ჩაებან მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მოწინავენი.

10. დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს:

ა) საჭირო რაოდენობით მოაწყოს მაღალხარისხოვანი, უმთავრესად ფერადი სასწავლო და სამეცნიერო პოპულარული სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების წარმოება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გეგმებისა და დაკვეთების მიხედვით; მიიღოს საჭირო ღონისძიებანი უშუალოდ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასწავლო და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების მასობრივი ჩვენების მოსაწყობად;

ბ) მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მეცნიერების მიღწევებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა რადიოთი.

11. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოაწყონ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა გამოსვლების ჩაწერა აფსკზე, ფართოდ გამოიყენონ მაგნიტოფონი ჩაწერილი ლექციებისა და საუბრების გადასაცემად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და აგრო-ზოოტექნიკური სწავლების წრეებში.

12. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევათა ფართო პროპაგანდისათვის 1954 წელს მოსკოვში გაიხსნას მუდმივმოქმედი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა; კოლმეურნეთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა, კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რაიონებს, ოლქებს, საცდელ სადგურებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს შორის გაჩაღდეს შეჯიბრება საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის. პრაქტიკაში შემოღებულ იქნას აგრეთვე ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობა რაიონებში, ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში.

13. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჯერ კიდევ ჩამორჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოთხოვნებს. ბევრი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და საცდელი სადგური მუშაობას ეწევა პრაქტიკისაგან მოწყვეტით, იფარგლება ლაბორატორიებისა და საცდელი მინდვრების ვიწრო ჩარჩოებით, არ ამდიდრებს მეცნიერებასა და პრაქტიკას ახალი აღმოჩენებითა და წინადადებებით და ნაკლებად ეხმარება კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებაში.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობაში, დაძლიონ მეცნიერების ჩამორჩენა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოთხოვნებისაგან, გააძლიერონ სამეცნიერო დაწესებულებათა როლი კოლმეურნეობებისათვის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ ასამაღლებლად. მეცნიერთა ძალები მოხმარდეს სოფლის მეურნეობის მეცნიერების შემდგომ განვითარებას, რათა მან სოფლის მეურნეობის მუშაკთა კადრები შეაიარაღოს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ახალი ცოდნითა და მეთოდებით.

14. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უსასტიკესი დაცვისადმი, არ დაუშვან საზოგადოებრივი მიწებისა და საკოლმეურნეო ქონების განიავების ფაქტები, მიიღონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებში საქმის უყაირათოდ გაძღოლის აღმოსაფხვრელად, მიაღწიონ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და შრომის დისციპლინის ამაღლებას, უზრუნველყონ ყველა კოლმეურნის აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ წარმოებაში.

15. ამჟამად ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში უკვე მნიშვნელოვანი რაოდენობით არის ეკონომიურად მომაგრებული კოლმეურნეობები, რომლებიც დიდ ფულადს და ნატურალურ შემოსავალს იღებენ, წარმატებით ართმევენ თავს სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებას და ყოველწლიურად უზრუნველყოფენ კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე ბევრი პროდუქტებისა და ფულის მიცემას. სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ მთელ რიგ დიდ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას. ამ პირობებში კოლმეურნეობებს მათი საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდასთან ერთად სრული შესაძლებლობა აქვთ თავიანთი შემოსავლის ნაწილი გამოიყენონ საბავშვო ბაღების, ბავშვებისა და საშობაო სახლების მშენებლობაზე, რათა უკეთესი პირობები შეუქმნან კოლმეურნე ქალებს საკოლმეურნეო წარმოებაში მუშაობისათვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის. ეკონომიურად მომაგრებულ კოლმეურნეობებს შესაძლებლობა აქვთ გამოჰყონ და კიდევაც უნდა გამოჰყონ საჭირო სახსრები კლუბებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობისთვისაც.

საჭიროა აგრეთვე რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა შეკეთებასა და მშენებლობაში, საკარმიდამო ნაკვეთებზე დასარგავად ხეხალის სარგავი მასალის შეძენაში, სათბობის მიტანასა და კოლმეურნეთა სხვა პირადი საჭიროების დაკმაყოფილებაში.

VII.

სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა თვითდინებით წავა; მატერიალური პირობები და შესაძლებლობანი, რომლებიც იქმნება სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, თავისთავად ვერ მოგვცემს საჭირო ეფექტს, თუ არ გაუმჯობესდა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა. ამ შესაძლებლობათა და პირობათა გამოსაყენებლად პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო მასებს და წაიყვანონ ისინი სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს მასებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სოფლად პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრ კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ეწყობა დაბალ დონეზე, მშრომელთა პოლიტიკურ აღზრდას არ ეთმობა საჭირო ყურადღება. ბევრ კოლმეურნეობაში, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში ცუდად არის დაყენებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობის შინაარსი და მეთოდები ხშირად არ შეესაბამება კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მოთხოვნებს. მაშინ როცა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ბევრი მუშაკი ჰყავთ, შემოღებული არ არის რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფური პასუხისმგებლობა კოლმეურნეობებსა და მტს-ებში საქმის მდგომარეობისათვის. კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა ხორციელდება უმთავრესად იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო კამპანიების დროს ადგილებზე გზავნიან რწმუნებულებს, რომლებმაც ხშირად არ იციან სოფლის მეურნეობა, რაც ამცირებს მეურნეობის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

პარტიის რაიკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, ბევრ შემთხვევაში ისინი თავის ანაბარა ჰყავთ მიტოვებული, არ ეყრდნობიან მათ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, რის გამო ბევრი პარტიული ორგანიზაცია საჭირო გავლენას ვერ ახდენს საქმის ვითარებაზე კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, ცუდად რაზმავენ კოლმეურნეობათა აქტივს და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები ჯეროვნად ვერ აფასებენ და საკმაოდ ვერ იყენებენ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში ისეთ დიდ ძალას, როგორიც არის კომკავშირი სოფლად. კომკავშირულ ორგანიზაციებს და სოფლის ახალგაზრდობას სუსტად იზიდავენ მიწათმოქმედებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის კულტურის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი და შეცდომები მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ ბევრი საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ რაიონებს, ცუდად იცნობენ საქმის ვითარებას ადგილებზე, ქმედითს დახმარებას არ უწევენ ჩამორჩენილ რაიონებსა და კოლმეურნეობებს, თავი აარიდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი ხელმძღვანელობას და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საქმიანობისათვის მთელი პასუხისმგებლობა მთლიანად დააკისრეს რაიონულ ორგანიზაციებს.

სოფლად პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მნიშვნელოვნად გააძლიერონ ხელმძღვანელობა სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისადმი, უზრუნველყონ ამ დადგენილების ახსნა-განმარტება ყველა კოლმეურნისათვის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის. გააჩაღონ ფართო სოციალისტური შეჯიბრება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და ყოველმხრივი განვითარების, საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა სახელმწიფო გეგმების დროზე შესრულების, კოლმეურნეობათა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდებისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანების გადაწყვეტისათვის. მთელ თავიანთ მუშაობაში პარტიული ორგანიზაციები უნდა ეყრდნობოდნენ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ადამიანებს, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატებს, რომელთა რიგები დღითიდღე გაიზრდება და გამრავლდება.

დაევალოს ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებს ფართოდ გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, საკოლმეურნეო მშენებლობის მოწინავე გამოცდილება და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის პრაქტიკა.

2. დაევალოს საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს შეცვალონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები, ბოლო მოუღონ ზერელე, ბიუროკრატიულ მიდგომას კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობისადმი, აღკვეთონ ადმინისტრირება კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში, გააძლიერონ ურთიერთობა რაიონებთან და კოლმეურნეობებთან, კარგად იცნობდნენ საქმის მდგომარეობას თვითეულ რაიონში.

საჭიროდ ჩაითვალოს გადაჭრით გაძლიერება რაიაღმასკომების პასუხისმგებლობისა პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და რაიონებში სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის, უზრუნველყოფილ იქნას რაიაღმასკომების მხრივ უფრო კონკრეტული ხელმძღვანელობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და განსაკუთრებით მტს-ების საქმიანობისადმი, გათვალისწინებულ იქნას მათი დიდი და მზარდი როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

მიღებულ იქნას ღონისძიებანი პარტიის სასოფლო რაიკომებისა და რაიაღმასკომების განსამტკიცებლად გამოცდილი, სოფლის მეურნეობის კარგად მცოდნე კადრებით, რომლებსაც უნარი შესწევთ სწორად და საქმის ცოდნით განახორციელონ ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი. შეირჩეს და გაიგზავნოს რაიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად საუკეთესო მუშაკები საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციებიდან.

3. იმის გამო, რომ პარტიის სასოფლო რაიკომების ახლანდელი სტრუქტურა არ შეესაბამება მტს-ებისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მოთხოვნებს, საჭიროდ ჩაითვალოს ამ ეტაპზე რაიონული პარტიული აპარატის მუშაობის გარდაქმნისე, რომ აღიკვეთოს გაუპიროვნება და უპასუხისმგებლობა კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობაში, თვითეულ მტს-ზე რაიკომში იყოს მუშაკთა ჯგუფი პარტიის რაიკომის მდივნის მეთაურობით, რომელიც უნდა ეწეოდეს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას მტს-ში და მისი მომსახურების კოლმეურნეობებში. ყველა ამ ჯგუფის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს რაიკომის პირველი მდივანი. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მტს-ებში დირექტორის მოადგილის თანამდებობა პოლიტნაწილში.

4. მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნას კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება, მათი როლის გაძლიერება სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში. მათ უნდა უზრუნველყონ კომუნისტებისა და კომკავშირელების სწორი განაწილება წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, განამტკიცონ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციების მდივნების შემადგენლობა მომზადებული და გამოცდილი პარტიული მუშაკებით.

5. დაევალოს საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს და საკავშირო ალკ ცენტრალურ კომიტეტს გააძლიერონ კომკავშირული ორგანიზაციების როლი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში, უზრუნველყონ სოფლის ახალგაზრდობის ჩაბმა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველი ღონისძიებით განავითარონ და მხარი დაუჭირონ ახალგაზრდობის თაოსნობასა და ძვირფას წამოწყებებს. კომკავშირული ორგანიზაციები უნდა იყვნენ სოციალისტური შეჯიბრების, წარმოებაში შრომის მოწინავე მეთოდების, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების დანერგვის წამომწყებნი, უნდა იჩენდნენ მეტ ინიციატივას პარტიული ორგანიზაციების წინაშე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხების დაყენებაში.

6. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში ქალების უდიდესი როლის გათვალისწინებით, დაევალოთ რაიკომებს, საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კოლმეურნე ქალთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა ქალთა შორის, უფრო ფართოდ ჩაებან ქალები საკოლმეურნეო მშენებლობაში და მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის აქტიურ ბრძოლაში.

7. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდება კოლმეურნეთა და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კულტურული მოთხოვნილებანი, რაც მოითხოვს სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ზრუნვის გაძლიერებას. საჭიროა ავამაღლოთ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე, გამოვაცოცხლოთ კლუბებისა და ბიბლიოთეკების საქმიანობა, რეგულარულად ვუზრუნველოთ კინოფილმები, გავაძლიეროთ სოფლების რადიოფიკაცია და გავაუმჯობესოთ რადიომაუწყებლობის ხარისხი. პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ შეუნელებელ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ სოფლად სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებათა მუშაობა, აგრეთვე სავაჭრო-კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობა, უზრუნველყონ შეუფერხებელი ვაჭრობა სახალხო მოხმარების ყველა საჭირო საქონლით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებისათვის მუდმივი ზრუნვა ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

* * *

საბჭოთა ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის გზით. კომუნისტური მშენებლობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სოციალისტური ინდუსტრიის, როგორც სახალხო მეურნეობის წამყვანი ძალის, მძლავრი ზრდის ბაზაზე ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანის პრაქტიკული გადაჭრა. თანამედროვე პირობებში ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დაისახა როგორც სასიცოცხლო, საყოველთაო-სახალხო ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა ხელს შეუწყობს აგრეთვე მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს ყველა კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ყოველი ღონე იხმაროონ და გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანის შესასრულებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი ინტელიგენცია, ყველა საბჭოთა ადამიანი უმოკლეს ვადაში გადაწყვეტენ ამ ამოცანას.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი 6 გვერდია.

რედაქტორი დ. მჯედლიშვილი.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

УЭ 04379 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.